დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 90 შაბათი, 25 აპრილი 1909 წ. № 90

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე ერთეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან შუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

21 აპრილს ღამე ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ ბანკის დირექტორი

ვასილ ალექსანდრეს ძე სულხანიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ანნა იოსების ასული,** ქალი **ელენე ვასილის ასული,** დედა **ნინო გრიგორის ასული,** ძმა **გიორგი ალექსანდრეს ძე,** დეიდა **მარიამ გრიგორის ასული,** დები **ნადეჟდა** და **ალექსანდრა** და დეიდაშვილები. პანაშვიდები ყოველ დღე ბინაზე საღამოს 7 ს. (რეუტოვის ქუჩა, საკ. სახლი № 8). გამოსვენება ცხედრისა კვირას, 26 აპრილს, დილის 9 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო იქიდან კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—226—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი აცხადებს, რომ ამ ბანკის დირექტორის, გარდაცვლილ

ვასილ ალექსანდრეს ძის სულხანიშვილის

სულის მოსახსენებლად 25 აპრილს, ნაშუადღევს 2 საათზე, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩა, № 25) გადახდილი იქნება პანაშვიდი. (1—226—1)

22 აპრილს ღამე ხან-მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი

დავით ბესარიონის ძე ღოღობერიძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **მარიამ მიხეილის ასული ღოღობერიძისა,** ცოლის და **კნიაჟნა ბარბარე მიხეილის ასული** და ცოლის ძმები **გიორგი** და **ნიკოლოზ მიხეილის ძენი მელიქიშვილები.** პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე გარდაცვალებულის ბინაზე ბროსსეს ქუჩა, № 11 გამოსვენება სახლიდან კვირას, 26 აპრილს, დილის 9 ს. **წმ. სამების ეკლესიაში,** (ვოსტის გვერდით). დაკრძალვა ამავე დღეს წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე. (3—223—2)

ვანო დურგლიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ გარდაცვალებას ძვირფას მეუღლის

მარიამ ბესარიონის ასულის დურგლიშვილისას.

გამოსვენება კვირას, 26 აპრილს დილის 9 საათზე, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ავლაბარი, როზოვის მოედნის ახლო, კოტლიარევის ქ. № 6, სახ. ბანკისა. პანაშვიდი 25 აპრილ. საღამოს 5 საათზე. (1—6.—1)

წარმოდგენა № 14. ქართული თეატრი წარმოდგენა № 14

კვირას, 26 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად** ქართულ სცენაზე ცნობილი **ახალი პიესა**

ვალერიან გუნიას საბენეფისოდ

ჩ-ე-რ-ჩ-ე-ტ-ი

კომ. 4 მოქმ. ლ. ფულდისა, თარგ. ვალ. გუნიას მიერ.

მონაწილ. მიიღებს მთელი დასი **ადგილების ფასი დაკლებულ.**

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8½ საათზე და გათავდება 11 საათზ.

ბილეთები არავის არ გაეგზავნება.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია

მაისის პირველ რიცხვებში მუშტაიდის ბაღში

გაიმართება

დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქ., თ.-აზნაურობის ქარვასლა), ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლგას ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

მიიღება ხელის მოწერა

დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში.

ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—5)

დაიბეჭდა და უკვე გამოვიდა ამ წლის სამეცნიერო, პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლების"

პირველი წიგნი შემდეგის შინაარსით:

1. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, ძველი დრო: ხეთი და ნაირი **ს. ქვარიანისა.** 2. სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში ძველი დროიდან (IV ს.) მე-XVIII საუკუნემდე. I სკოლები საქართველოში მე-X საუკუნემდის და ბიზანტიელთა ზედგავლენა, **სამ. ცომაიასი.** 3 მასწავლებელი. ამბავი ვ. დოროშევიჩისა, **ზ. ედილისა.** 4. ნაფრქვევი (ლექსი) დ. თომაშვილისა. 5 ხელოვანი მასწავლებელი ლ. ბ—ძისა. 6. სკოლის გამოცდილებიდან: სახმო წესით კითხვის სწავლება **ან. შუბლაძისა.** 7. ცრუპენტელა აღმზრდელი **ვაჟაფშაველასი.** 8. მოტყუებული (ლექსი) **ვაჟაფშაველასი.** 9. დაიმსხვრი ბარემ! (ფსიხოლოგიური ეტიუდი) **ვ. მალაქიაშვილისა** 10 პროფესორი ნიკოლოზ იაკობისძე მარრი (ბიოგრაფია) სურათით. 11 წინასწარი ცნობა ქართული ენის სემიტიურს ენებთან ნათესაობის შესახებ **პროფ. ნ. მარრისა.** თარგმ. დ. კარიჭაშვილისა. 12 ბიბლიოგრაფია. 13. ძველი უკულმართობის გამეფება სკოლებში (წერილი დასავლეთ საქართველოდან) **განდეგილისა.** 14. რედაქციისაგან. **წიგნის ფასია 30 კაპ.** რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.** (5—უ.—5)

THE ROYAL VIO

TRADE MARK

ძმ. ნიკიტინის ცირკის შენობაში

დიდებული წარმოდგენა

შაბათს, 25 აპრილს, საღამოს 8½ საათზე.

საგანგებო საღამო

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ".

დიდი პროგრამა სამ განყოფილებად.

ანონსი: კვირას, 26 აპრილს, ორი სადღესასწაულო წარმოდგენა. დასაწყისი შუადღის 12 ს. და საღამოს 8½ საათზე. (1—6.—1)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აჯქალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა, ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 48)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების ხნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—62)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა (0—586—131)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამხ. აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის ხნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—108)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. **ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ზ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. **ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—45)

სახალხო თეატრი ზუბალაშვილებისა.

კვირას, 26 აპრილს 1909 წ. ოპერის არტისტთა ამხანაგობის მიერ გამოჩენილ არტისტ ბროდჟის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სევილიელი დალაქი

კომ. ოპერა 3 მოქ. მუსიკა როსინისა.

ფიგაროს როლს შეასრულებს ბ-ნი **ბროდჟი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აგასოვისა, სტოგინისა; ბ-ნნი ბროდჟი, ივანოვი, კუზავოვი, კოსტინი, ნესტეროვი, მიშუჩინი და სხვ.

დირიჟორი **პ. ფალიაშვილი.**

რეჟისორი **კუზავოვი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი 30 კაპეიკიდან 2 მანეთამდე. მოწაფეთათვის თავისუფალი ადგილები 40 კაპ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება ყოველდღე თეატრის კასაში დღის 12 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

დაწვრილებით პროგრამებში.

ადმინისტრატორი **თ. დოლიძე.**

ქუთაისის ქართულ დრამატიულ

საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 28 აპრილს, საღამოს 7 საათისთვის, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1. გამგეობის მოხსენება;
2. წარსული წლის ანგარიში;
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება;
4. მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვა და.
5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. (2—1)

„ტფილისის სობრანიე"

შაბათს, 25 აპრილს, **„საოჯახო საღამო"**

1. **დივერტისმენტი**

მონაწილეობენ: ქ-ნნი ხერგეევი, პეტროვსკაია, დიდენკო: ბ-ნნი მოროზოვი, კლიმოვი, ჩაროვი და სხვ.

2. **კონცერტი**

სიმებიანი ორკესტრი ა. ი. ფიდელმანისა 1 განყოფილებად.

კონცერტის შემდეგ **ცეკვა.** ბილეთები 30 კ.-დან 1 მ.-მდე, იყიდება შვეიცართან. სტუმრები საზოგადო წესით, იხდიან 1 მან. დასაწყისი საღამოს 9½ საათზე.

ანონსი: ხუთშაბათს, 28 აპრილს, საღამოზე რუს. მალოროს. არტისტების დასი წარმოადგენს „ციდივკა ვიზრენტკას". (2—224—2)

ამერიკულ ვაზის სანერგე

კლუ-ქვერული

ქუთაისში.

უფასოდ უგზავნის მსურველს სიას დარჩენილ ვაზებისას გასასყიდად 1909 წელს. (3—ნ.—2)

წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი ამხანაგობის კიოსკის იჯარით გაცემის შესახებ, გადაიდო 26 აპრილის საღამო 6½ საათისთვის.

ეს კრება, როგორც გადადებული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

კრება მოხდება ქალაქის გამგეობის დარბაზში. (2—უ—2)

ტფილისი, 25 აპრილი

საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებიდან, დაბებიდან და სოფლებიდან ზედი-ზედ მოდის ამბები ადგილობრივ მცხოვრებთა მეცადინეობაზე გიმნაზიების და პროგიმნაზიების დასაარსებლად. ეს ამბები სანუგეშო ელფერს აძლევენ ჩვენს ცხოვრებას იმ მხრივ, რომ მკვეთრმეტყველურად ჰმოწმობენ, რაოდენად არის გაღვიძებული ხალხში სწავლის წყურვილი, მაგრამ ამასთან ნაღვლელს გვიორკეცებენ იმ მხრივ, რომ ამ ცხოველმყოფელ წყურვილის დასაკმაყოფილებლად ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში საზოგადოებრივი აზრი ყალბს საშუალებაზე ჩერდება.

ქართულს პრესსაში ბევრი რომ დაწერილა აწინდელ გიმნაზიებზე, მათს ავ-კარგიანობაზე, მათს შეუთანხმებლობაზე ქართულ ცხოვრების საჭიროებებთან და ეხლა წინად ნათქვამის განმეორება საჭიროდ არ მიგვაჩნია. ვინც თვალყურს ადევნებს მოზარდ თაობის განვითარებას და ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, იმან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში გიმნაზიურ განათლების და საუნივერსიტეტო კურსის დასრულების შემდეგ დიდი უმრავლესობა მოზარდ ქართველობისა ისე იკარგება სამშობლო ქვეყნისთვის, რომ ეს უკანასკნელი წლითი წლობით განიცდის ქრონიკულს გასაჭირს მიმდინარე ცხოვრების ყოველ ასპარეზზე წესიერად საქმისთვის მომზადებულ გამოსადეგ ადამიანებში. ძირითადი მიზეზი ამ ქრონიკულ გასაჭირისა, ძირითადი მიზეზი ინტელიგენტურ პრაქტიკულ მოღვაწეთა უზომო სიმცირისა ჩვენებური საშუალო განათლებაა, რომელიც ცხოვრებისთვის საჭირო ცოდნის ნაცვლად იძლევა მხოლოდ ქაღალდის ფურცლებს სახელმწიფო სამსახურის საშოვნელად რუსეთის იმპერიაში. უმაღლესი ტეხნიკური განათლებაც კი გამოუსადეგარი ჰხდება ჩვენში, რადგან დიპლომიანი ტეხნიკოსი უჯარო ღენერალს ემსგავსება. რაც უნდა უცნაური იყოს, მაინც ფაქტია, რომ უმაღლეს აგრონომიულ განათლების შემდეგ ჩვენი თანამემამულენი ზოგნი ბანკებში მსახურობენ და ზოგნი კანცელარიებში, ინჟენრები ხშირად გიმნაზიის მასწავლებლად დგებიან და სხვა. ამ უკულმართობის ერთ-ერთი მიზეზი ჩვენებურ სახალხო განათლების საერთო უკულმართობაა, განსაკუთრებით საშუალო განათლებისა.

საშუალო განათლება აუცილებლად იმდენად დასრულებულს ცოდნას აძლევდეს მოსწავლეს, რომ კურსის დასრულების შემდეგ თავისუფლად შეეძლოს პირდაპირ ცხოვრებაში გამოიყენოს ეს ცოდნა.

ჩვენებური საშუალო სასწავლებელი, გიმნაზია კი, ისეა დაშორებული ამ საანბანო ჭეშმარიტებას, როგორც მიწა მზეს. ცხოვრებასთან დაახლოვების ნაცვლად ჩვენებური გიმნაზია მოზარდ თაობას აგლეჯს ბუნებრივ ნიადაგს და სადღაც შორს გასტყორცნის, რათა იგი თავპირუ დასხმული შეუდგეს შემდეგ უაზრო ხეტიალს ცხოვრების მეჯლისზე. აწინდელ საშუალო განათლების ნაკლულევანებანი კარგად ესმის ჩვენს დროში ყველა პედაგოგს და მათ შორის ქართველ პედაგოგებსაც, მაგრამ მათ მაინც ვერ მოახერხეს აქამომდე ოდნავ მაინც შეეცვალათ ამ საქმის მდგომარეობა. ქართველმა პედაგოგებმა ამ მხრივ ყველას წინ გაუსწრეს: მათის მეცადინეობით ქართველი საზოგადოება თავის საკუთარ კერძო თანხებით ინახავს ერთ გიმნაზიას ტფილისში და მეორეს ქუთაისში; ტფილისში ამ გიმნაზიისთვის უკვე ისეთი უზარმაზარი შენობა წამოჭიმეს, რომელსაც გაცილებით უფრო სალი შინაარსი შეეფერებოდა; ქუთაისში საძირკველი გასჭრეს ამ გვარისავე საგიმნაზიო შენობისთვის.

და ამ მაგალითებით წახალისებული პაწია ქალაქები და ზოგჯერ სოფლებიც კი ეხლა წელზე ფეხებს იდგამენ, რომ რამენაირად თითონაც გაიჩინონ საკუთარი გიმნაზიები. გიმნაზიურ განათლებისადმი სიყვარულის დათესვაში ბევრს გარემოებას უდევს წილი, მაგრამ ბრალი კი ისე არავის არ შეიძლება დაედოს, როგორც ჩვენს პედაგოგებს. დღემდე ქართველმა პედაგოგებმა არ შეიმუშავეს ან ვერ შეიმუშავეს ნორმალურ საშუალო სასწავლებლის ტიპი, ვერ გასცდნენ მთავრობის გიმნაზიის ტიპს, ვერ დაარსეს ვერც ერთი სამაგალითო საშუალო სასწავლებელი და, რასაკვირველია, ასეთ პირობებში ხალხის წყურვილი სწავლისადმი გიმნაზიების გახსნაზე ხურდავდებოდეს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ხალხს ეხლანდელი გიმნაზია ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს. ერთს ადგილას სცადეს კიდეც ადგილობრივმა მოღვაწეებმა გიმნაზიის ნაცვლად ქართველ პედაგოგების დახმარებით სხვა ტიპის საშუალო სასწავლებელი დაეარსებინათ, მაგრამ ცდამ უქმად ჩაიარა: პედაგოგებმა ვერ ითავეს ახალი და მძიმე საქმე. ადგილობრივ მოღვაწეთა გამტყუნება ძნელია, მაგრამ მწარე გამოცდილება აიძულებთ მათ, როცა გიმნაზიების ნაყოფს ჰნახავენ, ყოველგვარ დამრკოლებას შეებრძოლონ და საშუალო სკოლას კი ეხლანდელ გიმნაზიურ ტიპის ნაცვლად სხვა ხასიათი მისცენ. დეე, გაიხსნას კლასსიკური გიმნაზიები საქართველოში პაწია ქალაქებსა და სოფლებში: რაც ადრე გამოჩნდება მათი უვარგისობა პრაქტიკულს ნიადაგზე, მით უფრო ადრე მოიძებნება სალი საშუალო სკოლა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 აპრილი

სპარსეთი

პეტერბურგი. რეიტერს თეირანიდან ატყობინებენ: 250 რეშტელი რევოლიუციონერი შეიჭრა კაზვინში და მოულოდნელად თავს დაეცა სპარსეთის მთავრობის ჯარს. დაბინდებამდის ჯარი წინააღმდეგობას უწევდა რევოლიუციონერებს, მაგრამ შემდეგ ბრძოლა შეჩერდა დაღამების გამო. შაჰის ჯარს მოუკლეს 20 კაცი, 100 კაცი ტყვედ წაიყვა-

რევოლიუცია ოსმალეთში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

სტამბოლი. გაზეთებს დიდი იმედი აქვთ ახალ სამინისტროსი. „ოსმანიშე ლლოიდ“-ი სწერს: სერიოზული სამინისტრო ანგარიშს გაუწევს საყურადღებო მოვლენებს და წესიერებას დაამყარებს. „ტიურკი“ სწერს: სამინისტრო პარლამენტის, ხალხისა და ჯარის ნდობით არის აღჭურვილი. ამაზე კარგი არჩევანი აღარ შეიძლებოდა. ბერძნული გაზეთები თავდაჭერილად ბჭობენ. ახალ კაბინეტში 4 დეპუტატი და 3 სენატორია.

მოვიდა ქედივი. ქედივი მოსვლისთანავე სულთანმა მიიღო.

კაირის მაჰმადიანთა უნივერსიტეტის რექტორმა, რომელიც მაჰმადიანთა სამღვდელოების სათავეში დგას და ყველასაგან პატივცემულია, გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც მაჰმადიანებს დამშვიდებას ურჩევს და ჰკიცხავს ქრისტიანების აწიოკებას. პროკლამაცია დეპეშით გადმოსცეს სტამბოლში და ყველა იმ ადგილში, სადაც ქრისტიანთა აწიოკება მოხდა.

დიარბეკირის ჯარის უფროსი და ვალი სტამბოლში დაიბარეს.

ქალაქ მალახიას ქურთებმა ალყა შემოარტყეს.

იმ კომისიამ, რომელმაც გაჩხრიკა ილდიზის არქივი, აღმოაჩინა „იკდამის“ რედაქტორის ალი-ქემალის მოხსენებანი ყოფილ სულთან აბდულჰამიდთან. როგორც ამ მოხსენებებიდან სჩანს, ალი-ქემალს ჯერ საზღვარ-გარედ და მერმე ოსმალეთში თვალ-ყური უდევნებია ახალგაზრდა ოსმალებისთვის და ყველაფერი სულთნისთვის უცნობებია. ალი-ქემალს ამისთვის განსაკუთრებული ჯამაგირი ჰქონია დანიშნული. ცნობილ ნეჯიბ-მელხამეს ერთი წლით სატუსაღო მიუსაჯეს. ნეჯიბ-მელხამე იძიებდა ილდიზში ყუმბარების აფეთქების და ქრისტიანეთა აწიოკების საქმეებს. ამ დროსაც მას ბრალდებული უწამებია.

სტამბოლი. სულთანმა აცნობა პარლამენტს, რომ მაჰმედის ხმლის შემორტყმის შემდეგ პარლამენტში მივალ და ფიცს დავდებ კონსტიტუციის ერთგულებაზეო.

ნეს. რევოლიუციონერები დახმარებას მოელიან რეშტიდან.

თეირანი. ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლებმა შეატყობინეს სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ მათ სახეში მიიღეს შაჰის განცხადება ინგლისისა და რუსეთის მიერ წარდგენილ პროგრამის შესახებაო. შაჰმა ეს პროგრამა მიიღო.

შაჰის დაბადების დღის გამო მთავრობის დაწესებულებათა შენობები, სახელმწიფო და რუსეთის ბანკი გაჩირაღდნებული იყო. ბაზარს სადღესასწაულო არა ეტყობოდა რა.

კონსტიტუციონალისტები მეჯლისის მოწვევის შესახებ გამოცემულ მანიფესტს ეჭვის თვალით უყურებენ.

თეირანი. კაზვინს ყუმბარებით თავს დაეცნენ მენჯინიდან მოსული კავკასიელი რევოლიუციონერები. შაჰის ჯარი გაიქცა. გუბერნატორმა თავი შეაფარა ენზელ-თეირანის გზის სამმართველოს. ქალაქი რევოლიუციონერების ხელშია.

ბახტიარები ისპაჰანიდან თეირანისაკენ გაემართნენ.

თავრიზი. შაჰის დღესასწაულისა და რუსეთის დედოფლის სახელწოდების დღის გამო მთავარმა საკონსულომ 750 ფუთი ფქვილი გაუგზავნა მთავარ საქველ-მოქმედო კომიტეტს დამშეულთათვის დასარიგებლად. ეს ფქვილი საკონსულომ რუსეთიდან მიიღო.

უცხოელ კონსულების თანადასწრებით მოხდა „პარადი“ თავრიზთან დაბანაკებულ რუსის ჯარისა.

ენჯუმენის ბრძანებით, ბაგირ-ხანის ფიდაიებმა გაძარცვეს შაჰის სასახლეში მყოფ ადგილობრივ მდიდარ არისტოკრატის მეჯიდ-ულ-მულკის სახლი.

საზღვარ-გარედ.

შენებეკი. ალლენდორფის ქარხანაში ნივთიერება აფეთქდა. მოკვდა ხუთი კაცი, დაშავდა 1. ზარალი დიდია.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ ჩაის ბაჟი წინანდებური დასტოვა.

დეპუტატთა პალატა. პალატის შეკითხვაზე ასკიტმა განაცხადა: მთავრობამ უკვე დაიწყო მუშაობა ჰაეროსტატების გასაუმჯობესებლად. ჯარსა და ფლოტში ადგენენ დირიჟაბლების პროექტს და მალე შეუდგებიან პროექტის სისრულეში მოყვანასა. რომ უფრო კარგად წავიდეს საქმე, ფიზიკის სახელმწიფო ლაბარატორიას უბრძანა ჰაერო-პლანების გამოსაცდელად ცალკე განყოფილება იქონიოს, ამასთან დანიშნულია ცალკე კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს მუშაობასაო.

რუსეთი

პეტერბურგი. სიმბირსკის გუბერნიაში კიდევ დარჩება გაძლიერებული წესები. ვილნოსა და სმორგონში განსაკუთრებულ წესების მაგიერ გაძლიერებული წესები შემოიღეს. ბელოსტოკსა და ბელოსტოკის, კაინის, ბარნაულის, ტომსკის, მარიინის, და ციმბირის რკინის გზის ახლო-მახლო ადგილებში სამხედრო წესები რჩება.

პეტერბურგი. კლინის პროსპექტზე აღმოაჩინეს კარგად მოწყობილი ყალბი ფულის საჭრელი მანქანა. დააპატიმრეს ერთი კაცი, რომელიც კატორგიდან გამოქცეული გამოდგა. ეს კაცი კატორგაში ყალბი ფულის დამზადებისათვის ყოფილა გაგზავნილი.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

ვარშავა. გამოცხადდა გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება, რომლითაც აკრძალულია ჯარის ან ფლოტის გადასვლა-გადმოსვლაზე რისიმე დაბეჭდვა და გავრცელება. მხოლოდ იმ ცნობების დაბეჭდვა შეიძლება, რომელიც მთავრობის გამოცემებში იქნება დაბეჭდილი. ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, ან სამ თვეს დაპატიმრებენ ან 500 მანეთით დააჯარიმებენ.

სოფ. კოლოში, ვარშავის მახლობლად, უცნობებმა მოჰკლეს მუშა.

ქართული თეატრი

მხატვრის თვალთახედვით

(დასასრული *)

რას განიცდის კერძოდ მუსიკა ქართულ სცენაზე და რა მდგომარეობაშია იგი აქ? ჩვენის აზრით, ხელოვნების ერთი დარგი არ არის ისე უწესოდ მოწყობილი და დაქვეითებული როგორც მუსიკა. მასაქეთ, რაც სდრამო ელემენტი მისტერიას გამოეყო და ეკლესიას გადაასწრო, რაც დრამამ თავის საკუთარი კულტის შექმნა დაიწყო,—მასაქეთ მუსიკა სხვა დოგმებით სცხოვრობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუსიკას და პოეზიას ერთმანეთი დაეკარგოთ; ისინი განუყრელი დები არიან, როგორც ერთმა დიდებულმა მწერალმა სთქვა. ენას თავისი მუსიკა უოველთვის თან ახლავს. ამ ბოლო დროს ისეთი მიდრეკილებაა, რომ თითქოს უნდათ დრამასა და მუსიკას შორის ძველი მეგობრული კავშირი აღადგინონ. ესლა ბევრს გამოჩენილს დრამატურგს შეაქვს მუსიკა თავის ნაწარმოებში, როგორც აუცილებელი ელემენტი. მხოლოდ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენ დროში ხშირად ნახავთ სცენაზე დრამას, სადაც ან მღერიან, არ უკრავენ რამე საკრავზე. წარსულ სეზონში დიდმარხვამდე ქარ. დრამ. დასმა 16 თუ 17 წარმოდგენა გამართა და ამ რიცხვიდან ორი ან სამი პიესა თუ იყო ისეთი, სადაც მუსიკა არ გაისმოდა, მომეტებულ შემთხვევაში კი ასრულების დროს ხან მღეროდნენ, ხან უკრავდნენ.

მაგრამ ან რა სიმღერა, ან რა დაკვრა იყო ესე უკვე? ქართული სიმღერა ქართულ მომხიბლავ სიმღერა-გალობას არ წაავავდა და როიალზე ხომ იმისთანა ვალსებს უკრავდნენ, როგორც მიღებულია ცალკე კაბინეტებში ქეიფის დროს დაუგდეთ ყური „დადატ“-ში; ბოლოს გაისმის ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“-ის ხმა, მაგრამ ეს ქართული ჰანგი კი არა, უფრო რუსული ბღავილია... სად არის ქართული კილო, ან ვინ შეთხზა და ვინ მოიწონა ეს— ამისი რა მოგახსენოთ. „დადატ“-შივე პირველ მოქმედებაში თარზე უკრავს ზეინაბი. ეფ. ფესხის მონაწილეობით გამართულ წარმოდგენაზე ისე საძაგლად მოემართათ თარი, რომ არ შეიძლებოდა მისი ყურის გდება. კიდევ კარგი, მალე გათავდა ეს მუსიკა. ესევე ითქმის „სამშობლო“-ს „წმინდაო ღმერთზე“; აქ ხოროს უშნოდ, უდაზათოდ გალობა სწორედ გულს ურევს მსმენელს. რაღა ითქვას „პატარა კახის“ მუშურ სიმღერაზე; აქ ჰანგი არ შეესაბამება ეპოქას და ამის გარდა ხორო ერთი ალთას გაჰკივის, მეორე ბალთას, ისეთი უთანხმოებაა მუშებში თოხნის დროს. გადაჰხედეთ რუსულ სცენას. იქ მუსიკას სხვა აღმზრდელ მნიშვნელობას აძლევენ და რეჟისსერის შიშით ვერც ვერავინ გაბედავს რამე ციგანური ვალსი დაუკრას კულისებში. ქართულ სცენაზე კი რამდენადაც მხიარული და მაღალა შესახტომი იქნება ვალსი, იმდენად უკეთესიაო—ასე სჯიან სცენის მესვეურნი.

უფრო კარგად არის დაყენებული ქართულ სცენაზე მხატვრობა. აქ დეკორაციები ბლომად მოიპოვება და ბევრი ხელოვნებითაც არის ნახატი. მაგრამ ამ კარგსაც მოხმარება უნდა. გამოცდილი თვალი რომ უყურებს ქართულ სცენას, ისეთი შთაბეჭდილება გამოაქვს, რომ აქ დეკორაციების დადგმაც კი ხეირიანად მოუხერხებელიაო. ეს კი, ჩვენის აზრით, აიხსნება იმითი, რომ ან ნაკლებ ან ყურადღებას სულ არ აქცევენ ამ მხარეს. მაგალითი მრავალია: „დადატ“-ში მეტეხის ციხე უნდა აფეთქდეს. დახე უბედურებას: გუმბათი ისე გადაწვენილი იყო, რომ ერთმა ჩემმა მეზობელმა იხუმრა: სანამ აფეთქებდნენ, თითონ არ გადაწვეს ეს დეკორაციაო, და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, როცა გუმბათი გადაკარდა. „სამშობლო“-ში შაჰის დარბაზია. მშვენიერი დეკორაციაა, მხოლოდ ისე უშნოდ სდგას ხოლმე ეს დეკორაცია, რომ მაყურებელს ეცინება: წარმოიდგინეთ, აქ დეკორაციას ერთი მხრის დაბური მწყობრად არის იატაკზედ, მეორე მხრის დაბურს კი ქვეშ სინათლე გასდის და გეგონება, სვეტს საძირკველი ჰკვერმია. ამავე აქტში უკანა დეკორაციას ისეთი ნახოში აქვს, რომ უბრალო თვალით შეატყობს. საქმე იმაშია, რომ დეკორაციის შუა არტახი ძალიან მიუკრავთ „დოსკობოიზე“, დანარჩენი სამი მოშვებით არის; დეკორაციის ლობურები ძირს იწევენ და იჭმუჭნება კედელი, რომელიც სწორე უნდა იყოს. დასდგეს პოტაპენკოს პიესა. ოთახია. არშია ოთახისა ნახევარი მაღალია, ნახევარი დაბლა, სამი ვერშოკით მაინც. ოთახის ნახევარი მხარე ჭერს მოშორებია და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ერთ მხარეს მიწაში დაუწევაო. რა ილლიუზია უნდა მოახდინოს მაყურებელზე ამ სანახავმა?

„სამშობლო“-ში ირანის მბრძანებლის ტახტი და მისი სიღარიბე დიმილსა და სიბრალულს იწვევს. რა ფასონისაა ეს საჯდომი—საჭირო არ არის აქ აღწერა; ეს კია, რომ მას არც აღმოსავლეთის სტილისტისა სცხია რამ, არც იმ საარაკო სიმდიდრისა, რასაც ისტორია მოგვითხრობს ამაზე. ასეთსავე სიბრალულს იწვევს მაყურებელში შაჰის ქალის გუქა (носилка). განა ასეთ დარიბ გუქას აკადრებდა აღმოსავლეთის მბრძანებელი თავის ერთად-ერთ პირმშო ქალს? არა მგონია!

ამიტომაც არის საჭირო, რომ რეჟისორმა მალ-მალ მოახდინოს ხოლმე ექსკურსია ისტორიაში და, თუ ცოდნა არ შესწევს, ამოიკითხოს მაინც სახელ-მძღვანელოს. თორემ, — „როგორც ღმერთი შთააგონებს“,—ამისთანა მესვეურობა ხომ ყველას შეუძლიან. ჩაიხედეთ რუსულ ან გერმანულ სახელმძღვანელოებში და ნათლად დაინახავთ, თუ ქართული სცენა რანაირად არის დაშორებული ისტორიულ სინამდვილეს ამ შემთხვევაში. სახაზინო თეატრში ამ მხრივ მშვენივრად არის დაყენებული საქმე. იქ ყველაფერი, დაწყებული ტანისამოსიდან სავარძლამდე, ისტორიულ სურათების თანახმად კეთდება და იკერება.

დანარჩენ ნაკლულევანების აღნიშვნით მკრძალვის თავი არ მოვაბეზრო მკითხველს, თუმცა კი შეგვეძლო ბევრ საგულისხმიერო ნაკლზე მიგვეთითებინა. ვიტყვით მხოლოდ, რომ აქ აღნიშნული ნაკლულევანებანი სასცენო ხელოვნების ძირითად კანონებს შეადგენენ. ქართული სცენის მესვეურნი უთველ ღონეს უნდა ხმარობდნენ, რომ ეს კანონები შელახულ და წარყვნილი არ იქმნენ. შეიძლება აქ ჩვენ მიერ აღნიშნულ ნაკლულევანებაზე ბევრმა გაიდიმოს კიდევ, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ ჩვენ [illegible] ხელოვნებას [illegible] თვალთსაზრისით უყურებდეთ; [illegible] ქსავეტად ჩასთვლის, მას არც წარმოდგენა ჰქონია სცენის დანიშნულებისა და არც შეგნებული ჰქონია, თუ რა აზრი აქვს საზოგადოდ ხელოვნებას. კვლავ ვიტყვით, რომ ხელოვნებას და კერძოდ სასცენოსას—აზრად აქვს დაგვიხატოს ცხოვრება, მისი ილლიუზია დაგვიყენოს თვალწინ. უფრო მეტიც: მან უნდა სულიერ ქმოცაათა სფერის იმ სამთავროში გარდაგვახვეწოს, სადაც უბრალო თვალი, ან გონება კაცისა ვერ მისწვდება. ცხოვრების გარეშე არას დროს არა ყოფილა და არც არსებობს ხელოვნება. თუ სასცენო ხელოვნებასაც თანაბრად არ უწყობენ ხელს მაშველი ხელოვნებანი, ან რომელიმე დაკლებობს, მაშინ იგიც მკვდარია, ვინაიდან წარმოუდგენელია, რომ ორგანიზმი დავადებული ნაწილებით სადათა მუშაობდეს.

ი. კარგარეთელი.

*) იხ. „დროება“, N 89.

„დროების“ ხვალინდელ „სურათებიან დამატების“ შინაარსი: „საიდუმლო“ (დასასრული), მოთხრობა მ. გარიყულისა; წვრილი ამბები; სურათები: „მონობა“,—სურათი ს. შნაიდერისა; „პირველი დღე კონტრ-რევოლიუციის ოსმალეთში. აჯანყებული ჯარი, სოფტები და მოლები აია-სოფიის მოედანზე“; „სამხედრო სამინისტროს აკლება სტამბოლში“; „კონსტიტუციის ერთგული ჯარი ზარბაზნებს ამზადებს რეაქციონერებთან შესაბრძოლებლად“; „მანიფესტაცია სალონიკში“; „ახალგაზრდა ოსმალთა ჯარი მატარებელში ჯდება სტამბოლზე გასალაშქრებლად.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკს კანცლერობას აძლევენ.** „კასპის“ სიტყვით, უმაღლეს მთავრობას აზრადა აქვს კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს კანცლერობა მისცესო. ნამესტნიკს გარდა, როგორც ვიცით, სტოლიპინსაც ასახელებენ ამ ახალ ადგილზე. ამავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკად დანიშნავენ დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

✦ **წერა-კითხვის საზოგადოება.** 23 აპრილს წერა-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ, სხვათა შორის, განიხილა თხოვნა დედოფლის წყაროს მცხოვრებთა პირველ-დაწყებით სასწავლებლის დაარსების შესახებ. გამგეობამ შეიწყნარა თხოვნა. მცხოვრებლებმა უნდა

ფელეტონი

სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა ხუთ მოქმედებად.

ვასილ ყიფიანისა

(დასასრული *)

12.

ნინო. გამიშვით, მტარვალნო. (მუხლებზე დაეცემა ეკლესიის წინ). მომკალით! მე სიკვდილისა არ მეშინიან. აჰა, მომკვეთეთ თავი, ეს უბედური თავი! (სტირის) აღარ მინდა სიცოცხლე; ჩამდეთ ჩემ შვილთან სამარეში. შვილო! სადა ხარ? რატომ არ მორბიხარ, არ შემომვარდები კისერზე უბედურ დედას, რატომ არ მეხუტები გულში?! (დაემხობა და სტირის) მომეცით შვილი, მომეცით ჩემი მანუჩარ! მარიამ, შენ გებარა, რა უყავ ჩემი მანუჩარ! (სტირის) შვილო, გასკდა გული, შემიბრალე! არ გესმის შენი დედის ზახილი?!. სადა ხარ?! ნუ თუ ვერა ხედავ ჩემი სულის კვეთებას?! ხმა მომეც ზეციდან უნუგეშოს, ერთი ცრემლი გადმოაგდე, დამიძახე ტკბილი ხმით, დედათქო! (სტირის) მომეცით, მიჩვენეთ, მიმიყვანეთ ჩემ შვილთან, დამამხეთ მის კუბოზე მე უბედური; მატირეთ, დამაბანინეთ ცრემლებით! (სტირის, ქაიხოსრო და მარიამ შეუჯდებიან მხრებში და წაიყვანენ). მოვდივარ, შვილო, მაგრამ ვაი ჩემს მოსვლას! გამაგრდი, გულო! თვალნო დასაბრმავებელნო, მოიკრიბეთ უკანასკნელად ძალა მხედველობისა! (დაინახავს და შეჰკივლებს) ვაიმე შვილო! რას ვხედავ?! ვუი, ვუი, ვუი! (შევარდება თავში ცემით. ყველანი შეჰყვებიან ლევანის გარდა).

ლევან. ყველანი სტირიან, ყველას უდუღს გული საცოდაობით; მარტო მე, მისი მშობელი, ვდგევარ გაკერპებული და თვალნი ჩემნი, ვით ნაკვერჩხალნი, მშრალნი არიან; ვდგევარ, ვით ცოდვილი კაენი, მოკლულ ძმისა წინ და საშინელის სასოწარკვეთილებით ველი ცის რისხვას (ხელებს იმტვრევს). არსაით ნუგეში! (პაუზა) ყველა მიყურებს სიძულვილით, სამართლიანის წყრომით, მგმობს გულში, მწყევლის უხმოდ. ჰო, წყეულიმც ვიყო მე, შვილის გამპეტებელი! (პაუზა) დედა დასტირის შვილის კუბოს, მე კი ვერ შემიდგამს ფეხი კარებში, ვერ გამიბედნია, ვეამბორო გაციებულ ფეხებს (დაიჩოქებს კარებთან). შვილო მანუჩარ! აჩვენე კვლავ სახე შენი მშვენიერი წყეულ მამაშენს, გადმოჰხედე იუდას სიბრალულის თვალით, უთხარ სიტყვა ნუგეშისა, უთხარ, რომ გიპატიებია უგუნურისათვის; უარს ნუ მყოფ მე, ულირს მამას, მომეც ნება დაგიკოცნო ხელები, ჩაგიკრა გულში, დავლიო შენზე ეს მწარე სული! (დაემხობა და არის ცოტა ხანს ასე, მერე აიღებს თავს და დაფიქრდება). ეს ამბავი თითქო მინახავს (დაღვრემილი მიმოიხედავს). გონების სიღრმეში გამიცხოვლდა სურათი... თითქო ასე დაჩოქილი, ამ მწუხარებაში, წინადაც ვყოფილვიყავ... ამ კარებთან... შვილის კუბოს წინ... სწორედ (მიმოიხედავს და ადგება). არაფერი მესმის... გაუგებარია რაღაც... ცხადად ვგრძნობ, რომ მეორედ ვხედავ ამ უბედურებას (პაუზა). წერა თუა... მაშინ დაიწერა და ეხლა ასრულდა, მაშინ ითესა და ეხლა იმკა... ან შეიძლება სიზმარში მქონდეს ნახული იმ თავითვე ჩემი მომავალი... იქნება ეს დღევანდელი ჩემი უბედურებაც სიზმარი იყოს (ფიქრობს და ტანჯვით იტყვის). ვერ გამიკვლევია: მერევა აზრი (შემოდის პაატა და თავს დაუკრავს).

13.

პაატა. თქვენო დიდებულებავ!

ლევან. (ხელს გაუქნევს) სსსუ! მოიცა! მოდი! აქ მოდი! (პაატა მივა) ახლო მოდი! (პაატა მივა, ლევან მკლავს დაუჭერს) მითხარი, ცხადია ეს, თუ სიზმარი? ამ უბედურებაში შენც გიდევს წილი.

პაატა. დიდებულო მეფე, გეფიცებით! შეჩვენებული ვიყო, თუ მცოდნოდეს რამე: დარეჯანს...

ლევან. (რისხვით დაურევს მკლავს) კრინტი! თავი მოგძულებია; ძირიანად ამოგგლეჯ ენასა: (მიმოიხედავს).

პაატა, ნუ ინებებთ, თქვენო დიდებულებავ!

ლევან. ბავშვი ელდისაგან გარდაიცვალა.

პაატა ელდისაგან მეთქი: მეც მაგას მოგახსენებთ. იცის ღმერთმა!

ლევან. ჰო, ეგრე, ელდისაგან, ელდისაგან: სხვა მიზეზი არა იყო რა, კარგად იცოდე; იცოდე, ჩემის ხელით დაგახრჩობ! (რისხვით დაუქნევს ხელსა და უშვებს).

პაატა. თქვენო დიდებულებავ, მომკვეთე თავი, მონა ვარ თქვენი.

ლევან. (მოშორდება და ყრუდ, თავისთვის) იცოდეთ ყველამ: ვერ აიტანა ბავშვმა: გული ამოუჯდა ტირილით... სული ველარ მოიბრუნა. ...ზარი დასცა მამის უბედურებამ, საყვარელ მამის... (ბარბაცით წავა და ჩამოჯდება საფლავის ქვაზე სასოწარკვეთილი) ჰო, ლოდი მაწევს გულზე! ვინ არის ჩემი ძშველელი?! (ჩაჰკიდავს თავსა. შემოდის შიკრიკი და თავს დაუკრავს).

14.

შიკრიკი. დიდებული მეფე აღღერძელოს ღმერთმა!

ლევან. (ყრუდ) რა იყო? ცხოვრების უწმინდურმა ტალღამ რაღ მოგაგდო ჩემ კარზე?

პაატა. შიკრიკი გახლავთ, თქვენო დიდებულებავ.

ლევან საიდან? ცუდად მაქვს დაცდილი მაგათი ფეხი.

შიკრიკი. ლეჩხუმიდან, თქვენო დიდებულებავ. თქვენმა დაუცხრომელმა მტერმა, გიორგი ჩიქვანმა, თქვენი ჭირი წაიღო.

ლევან. სტყუი! ჩემ ჭირს ვერავინ ზიდავს: მეტად მძიმეა იგი. სხვას რას იტყვი?

შიკრიკი. მტერი დამარცხდა: აჯანყებულთა სისხლით მოირწყო მთელი ლეჩხუმი.

ლევან. (ჩაჰკიდებს თავს) მეფეს ახარეს ქვეშევრდომთა გაჟლეტა. აყვავდი, გულო! წადილი შეგისრულდა; აძგერდი, აივსე სიხარულითა! რაღას ილევი, რაღ იწურები ტკივილისაგან, რაღ დაიჩაგრე უწყალოდ?! (წამოდგება) მიდის, მიმაქანებს ეტლი, გმადლობთ, გმადლობთ მოლოცვისათვის! ნუ გიკვირთ ჩემი სიტყვები: მოვა დრო, გაიგებთ, კაცის გრძნობათა ცვლელვარება რა საზიზღარ ტლეს ილექავს... პაატა! წაიყვანე ეს ვაჟკაცი და ღირსეულად დაასაჩუქრე. (პაატა და შიკრიკი თავს დაუკრავენ და წავლენ).

ლევან. (დაფიქრდება) მოახლოებულია წუთი... რა საშინელ წყვდიადად გადმექცა ნათელ იმედებით დაწყებული ცხოვრება! (დაფიქრდება) უნდა გავუდო, შევებრძოლო უკანასკნელად უძლიერესს მტერს, შევება სასიკვდილოდ ჩემ თავს; ორნი ვართ, ერთმა უნდა სძლიოს მეორეს, გაუპოს დაუდეგარი გული. (გამოვა ეკლესიიდან გაბუნია, რა დაინახავს ლევანს, შეკრთება. ლევან დაუძახებს).

15.

ლევან. გაბუნია, მოდი აქ! (გაბუნია მივა) თვალები დაგწითლებია ცრემლისაგან: სწუხარ, საბრალო, რომ განზრახვა მამაზე დაასკვენ და შვილი კი სდევს კუბოში.

გაბუნია. თქვენო დიდებულებავ, გეფიცებით...

ლევან. სსუ! ნუ სწუხარ, თავისით მოვა ყველაფერი და წადილი შეგისრულდება. მოდი აქ! (გაბუნია უყუმანობს) მოდი, ნუ გეშინიან. მე ის არა ვარ, ვინცა გგონია; ადამიანში ორი არსებაა, და მათში მხოლოდ ერთია მიუნდო და პირშავი. მოდი! (გაბუნია წადგება) მოდი ახლო, საიდუმლოდ მინდა გითხრა (გაბუნია კვლავ წადგება). მეომარი ხარ და კარგად იცი, რომ ვაჟ-კაცი იარაღში უნდა დაუხვდეს სიკვდილსა. წადი შენა და ახლავე სამხედრო სამკაული მომიტანე, ყველაფერი, რაც კი უნდა: ხმალში ვარ გაწვეული ერთი ვინმე ბოროტისაგან, ზნეშერყვნილისაგან. გასწი! (გაბუნია უყუმანობს) რას გაშტერებულხარ, არ გესმის?

გაბუნია. ნუ გამირისხდებით, დიდებულო მეფე: ნება მიბოძეთ, ჩვენ გავცეთ პასუხი.

ლევან. მიჰქარავ! მეფეს როგორ უბედავ მაგასა?! ჩემ მოპირდაპირეს მე უნდა გაუპო გული, მევე მოუღო ჩემ თავს ბოლო.

გაბუნია. (შეკრთება) დიდებულო მეფე!

ლევან. (ხელს დაუნჯღრევს) სუ! ალტაცებას აგრე აშკარად ნუ ეძლევი! როცა კუბოში ვიდები, მაშინ მოდი და ყურში მითხარი: ჩაძაღლდი და გზაც ეგ იყო ჯანაბამდისათქო! მაგრამ ჩუმად კი, არ გაიგონო, თორემ ვაი შენი ბრალი მაშინა! გასწი! (მოისვრის) გასწი მეთქი! (გაბუნია მიდის და უკან იხედება). პატარა ხანჯალი არ დაგავიწყდეს, პაპა-ჩემის ნაჩუქები, კახეთის მეფისა (გაბუნია გადის). ფუჭად ჩაიარა საწყალ პაპა-ჩემის წვრთნამ და დარიგებამ თელავში! რაღა ვარ ამ ქვეყნად?! „ბოროტი თესლი ბოროტად ნათე-

*) იხ. „დროება“, N 89

მოაწყონ სკოლის შენობა და შეინახონ მასწავლებელი. შემდეგ გამგეობამ თავის სამ წევრ-პედაგოგს დაავალა სკოლების რევიზია. სკოლების რევიზია დაევალა ლ. ბოცვაძეს, საგურამოს სკოლისა—ი. ღულაძეს, ყალამშიისა, გომარეთისა და კავკავის სკოლებისა—პ. სურგულაძეს. რევიზორები მაისის პირველ რიცხვებში წავლენ.

✦ **ალავერდის ეპისკოპოსი.** როგორც გავიგეთ, ქუთაისის გუბერნიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურეს თევდორე ჟორდანიას თანხმობა განუცხადებია ეკურთხოს ალავერდის ეპისკოპოსად.

✦ **ზუბალაშვილების ახალი შემოწირულება.** როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობამ ზუბალაშვილებისაგან მიიღო 11 ათასი მანეთი კიდევ სახალხო სახლის გასაუმჯობესებლად, როგორც ტეხნიკურად, ისე მხატვრობის მხრივ. ქალაქის გამგეობას აზრადა აქვს, შეადგინოს კომისია და დაავალოს მას გამორკვევა იმისა, თუ რას მოხმარდეს ფული. კომისიაში შევლენ ყველა სექციის წარმომადგენელნი.

✦ **შინა-მრეწველობის დახმარება.** როგორც გავიგეთ, კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტმა, დეუნკოვსკის წინადადებით, დაადგინა, სთხოვოს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, საერობო თანხიდან გადასდოს 20,000 მანეთი წვრილ შინა-მრეწველობის დასახმარებლად კავკასიაში.

✦ **ლექციები.** კვირას, 26 აპრილს სახალხო სახლში ნ. ვ. გოგოლის პატივსაცემლად გაიმართება ქართულსა და სომხურ ენაზე ლექციები: ქართულად პ. გელეიშვილი წაიკითხავს გოგოლის ბიოგრაფიას. გაიაროვი და გ. წაიკითხავენ გოგოლის თხუზულებებიდან რჩეულ ადგილებს. ზახარიანი სომხურად წაიკითხავს გოგოლის ბიოგრაფიას. პირველი ლექცია დაიწყება დილის 10 საათზე, მეორე $12\frac{1}{2}$ საათზე.

✦ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** 28 აპრილისთვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა: კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება წესდების შეცვლის შესახებ. განზრახულია საწევრო ფული 10 მანეთის ნაცვლად 5 მანეთი დააწესონ. ფიქრობენ აგრეთვე საზოგადოებასთან მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის განყოფილებათა დაარსებას.

✦ **დაპატიმრება სომხებისა.** სომეხთა სემინარიის დირექტორი, მწერალი აჰარონიანი 23 აპრილს გაჩხრეკისა და დაპატიმრების შემდეგ გაჰგზავნეს მეტეხის ციხეში. იმათ გარდა, ვინც უკვე გვქონდა მოხსენებული, იმავე დღეს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს სომეხთა საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე მდიდარი მუშელი სომეხი მელიქ-აზარიანცი და თვალის ექიმი გეურქ—ბეკიანცი. გაზეთ „გორცის" დაპატიმრებული მენტრამპაჟი ტერ-აბრამიანცი და რედაქტორი ა. დოშორიანცი გაანთავისუფლეს, ხოლო კანტორის გამგე აბოვიანცი საპყრობილეში გაჰგზავნეს. გაჩხრეკასა გამო „გორცი" გუშინ, 24 აპრილს, აღარ გამოსულა. გაზეთი დღეიდან განაგრძობს გამოსვლას.

✦ **პროჟექტორის წარმოდგენა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ.** დღეს, ნიკიტინის ცირკში „როიალ ვიო"-ს სინემატოგრაფი გამართავს დიდ წარმოდგენას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენა სამის დიდ განყოფილებისაგან შესდგება. ბილეთები იყიდება ნიკიტინის ცირკის კასსაში.

✦ **სამკითხველო და სკოლის შენობა.** წერა კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 23 აპრილს განიხილა შუამდგომლობა სოფელ ბანძის წარმომადგენელთა იქ საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. გამგეობამ დაადგინა, ბანძის წარმომადგენელთ შეატყობინოს, რომ აღნიშნულ შუამდგომლობით მიმართონ საზოგადოების სენაკის განყოფილებას. ამავე სხდომაზე გამგეობამ დაავალა ყალამშიის სკოლის რევიზორს პ. სურგულაძეს, შეისწავლოს და გამოარკვიოს ყალამშიის სკოლის შენობის აგების საქმე. როგორც აღვნიშნეთ, ამას წინად სკოლისათვის თავ. ქობულაშვილმა 4 დესეტინა მიწა შესწირა.

✦ **საჯარო ვაჭრობა მიწების გასაცემად.** უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ ნავთლუღში, რეიტერის ქუჩაზე, ტფ. ქალაქის გამგეობამ 140 სამოსახლო ადგილი დაგეგმა და მათ გასაცემად საჯარო ვაჭრობა დანიშნა. ვაჭრობა ორჯელ მოხდა, მაგრამ არც ერთი კაცი არ აღმოჩნდა, რომელსაც ქალაქისათვის 25—28 კაპეიკზე მეტი შეეძლოს. ვაჭრობა კიდევ მოხდება.

✦ **ბოტანიკური ბაღი.** აზრადა ჰქონდათ, ტფ. ბოტანიკური ბაღი სამეცნიერო აკადემიისთვის გადაეცათ. მაგრამ ამ დღეებში პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ ბაღი ისევ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ხელში რჩება.

✦ **იჯარით ადგილები.** როგორც ვწერდით, ამიერ კავკასიის რკინის გზის მოსამსახურე მოხელეთა შუამდგომლობით ქალაქის გამგეობამ ნავთლუღის სადგურის მახლობლად 400 სამოსახლო ადგილი დაგეგმა და საიჯარო ფასიც დადო. დღემდე რკინის გზის მოხელეთაგან 30 კაცზე მეტი არ აღმოჩნდა მსურველი იჯარით ამ ადგილების აღებისა, თუმცა სურვილი წინად ბევრმა განაცხადა. ამის გამო გამგეობამ დაადგინა, აღნიშნული ადგილები იჯარით მიეცეთ არა მოხელეთაცაო.

✦ **სახალხო წარმოდგენა.** დღეს, 25 აპრილს, საღამოთი ქართული სცენის მოყვარენი ვერის სახალხო აუდიტორიაში წარმოადგენენ დრამას „დამონებულნი"-ს და „საღამოს ერთი ცხვარი ხეირია".

✦ **მოსწავლეთა მდგომარეობის შესწავლა.** ტფ. ვაჟთა მე 4 გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭომ დაადგინა, შეისწავლონ მოსწავლეთა ოჯახური მდგომარეობა. ამ აზრით, საბჭო შეუდგება მოსწავლეთა ბინების დათვალიერებას.

✦ **ა. კარგარეთლის ბენეფისი.** ხუთშაბათს, 23 აპრილს, მსახიობქალის კარგარეთლის საბენეფისოდ ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა აკაკის მიერ გადმოთარგმნილი პიესა „სად მიხვალ?". წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. ხალხი საკმაო დაესწრო.

✦ **მეტეოროლოგიური სადგური.** აზრადა აქვთ ბოტანიკურ ბაღში, ტფილისში გამართონ მეტეოროლოგიური სადგური. სამინისტროს უკვე გადაუდვია საჭირო ფული ამისთვის.

✦ **„მათრახი და სალამური."** ხვალ, 26 აპრილს გამოვა იუმორისტული ალმანახი „მათრახი და სალამური", № 2. ალმანახი გაიყიდება „შრომის" სტამბაში.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის მდივნის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატია დასახელებული. ასახელებენ მოქალაქეთა სამართველოს ყოფილ მამასახლისს კანდუროვს, ბირჟას საქმის მწარმოებელს ზაქარიანცს, გამგეობის საქმის მწარმოებელს სათოსახიანცს და სხვას. როგორც შევიტყვეთ, გამგეობის წევრთა უმრავლესობა მომხრეა ამ თანამდებობის გაუქმებისა,

✦ დღეისთვის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია შეერთებული სხდომა გამგეობისა და მასწავლებელთა გამგე კომისიისა ქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველოების სახელმძღვანელო წესდების პროექტის შესამუშავებლად.

✦ ახალ კლუბის საბჭომ 22 აპრილს დაადგინა მაისის პირველ რიცხვებისათვის მოიწვიოს წევრთა დამფუძნებელი კრება. კრების დღე და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

✦ 23 აპრილს დააპატიმრეს რაჟდენ კოტრიძე და დიმიტრი ხატიაშვილი, რომელნიც საგენერალ-გუბერნატოროდან იყვნენ გადასახლებულნი, მაგრამ დაბრუნებულნი.

✦ მუხრანის ბორნიდან 23 აპრილს მტკვარში გადავარდა აბრამ ისხაკ-ოღლი, რომელსაც მცურავი ივან ქაქირაძე ჩაჰყვა და გადაარჩინა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ წერილში—„ქართული თეატრი მხატვრის თვალთახედვით", შეცდომები შეპარულა. გაზეთის მეოთხე სვეტზე, მე-19 სტრიქონში დაბეჭდილია: „საზოგადოების თუ სახელმწიფოს ერთმანეთისთვის ხელი მიუციათ და ერთსულოვანად არ შეიძლება იტქვას". უნდა იყოს: „საზოგადოებას თუ სახელმწიფოს ერთმანეთისათვის ხელი მიუციათ და ერთსულოვანად მოქმედებენ. არ შეიძლება ითქვას" და სხვა. ამას გარდა ხსენებულ წერილში არის სხვა შეცდომებიც.

მოწერილი ამბები

მიქელ-გაბრიელის საზოგადოება. (გურია) ჩვენი საზოგადოება ოთხი სოფლისაგან შესდგება. სოფლელები მისდევენ ხვნა-თესვას. ვფიქრობ, რომ არსად მთელს გურიაში მიწის დამუშავებას ისე გულიანად არ ეტანებიან, როგორც მიქელ-გაბრიელში. საზოგადოებას გარს აკრავს აყარებული სახნავ-სათესი მიწა და სოფლელებს ბლომად მოჰყავთ ჭირნახული. ამ ექვსიოდე წლის წინად მიწის ღალის რაოდენობა ჩვენში მებატონების სურვილებზე იყო დამოკიდებული. ზოგიერთი მებატონე იღებდა ღალად მოსავლის მეოთხედს, ზოგი—მესამედს და ცუდი მოსავლის დროს ხშირად მოსავლის ნახევარსაც. 1903 და 1904 წლებში სოფლელებმა მებატონეების წინაღმდეგ გაფიცვა გამოაცხადეს და მოითხოვეს მიწის ღალის შემცირება მოსავლის მეათედამდე. გაფიცვა სოფლელების სრული გამარჯვებით დამთავრდა. მებატონეები დასთანხმდნენ და გასცეს ქცევა მიწა (900 ოთხკუთხი საჟენი) 2-3 მანეთად. რაც დასახლოვებით მოსავლის მეათედს უდრიდა. სოფლელებმა თავისუფლად ამოისუნთქეს და მხნედ შეუდგნენ მუშაობას. განმათავისუფლებელ მოძრაობას დამარცხების შემდეგ მებატონეები უკმაყოფილებას აცხადებდნენ აღნიშნულ პირობებში მიწის გაცემაზე, მაგრამ სოფლელები მაინც სარგებლობდნენ ერთხელ მოპოვებულ უფლებებით. წელს კი მებატონეები ძველის წესით აღარ იძლევიან მიწებს. ზოგიერთმა მებატონეებმა გამოუცხადეს სოფლელებს: თუ ქცევა მიწაზე 3-5 მანეთამდე არ მოგვცემთ, ხელი უნდა აიღოთ მუშაობაზეო. სხვები კიდევ არც უარს ამბობენ და არც პირობას. დრო კი მიდის; სოფლელები მეტად დაღონებულნი არიან. „წლეულს თუ ხუთი მანეთი გადაგვახდევინეს, ძმავ, ამ გაის ხუთსაც აღარ დაგვჯერდებიან", ამბობენ. რით გათავდება საქმე მალე ვნახავთ.

ხვნა-თესვის გარდა მიქელ-გაბრიელელები მისდევენ მეაბრეშუმეობას. ჭიის მოვლას კისრულობენ დედაკაცები. სამწუხაროდ, უმეტესობამ ჭიის რიგიანი მოვლა არ იცის და ამით ბევრს აგებს. მეაბრეშუმეობა მაინც კარგს შემოსავალს აძლევს სოფლელებს. იშვიათად იქნება ისეთი ოჯახი, რომ 10-15 მანეთის პარკი მაინც არ გაჰყიდოს. ჭიის მოვლა რომ რიგიანად იცოდნენ, რა თქმა უნდა, ერთი-ხუთად მეტს ისარგებლებდნენ. შარშან სოფლელებმა უარი უთხრეს კერძო მყიდველებს, პარკის გასახმობი ფარდული დაიქირავეს და ხმელი პარკი მოგებით გაჰყიდეს. მომავალში ფიქრობენ, საკუთარი ფარდული ააგონ და თავიანთი ნათესარი ჩარჩ-მეიდვლეებს არ დაუთმონ. მცოდნე კაცების რჩევით სოფლელებმა წელს შეიძინეს ძმ. პასხალიდების ფირმის თესლი, თუმცა სხვა ფირმის თესლები გაცილებით ნაკლებ ფასად იყიდებოდა. სოფლელებს დიდი იმედი აქვთ შეძენილ თესლისა. ვნახოთ ამ თესლს როგორი შედეგი მოჰყვება.

მიქელ გაბრიელელები ხარბად ეტანებიან სწავლა-განათლებას. თვითეული სოფლელი მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ სხვის მოხობიდან თავის დასახწევად სწავლას შეძენა ერთად-ერთი საშუალებაა, და არაფითარ ხარჯს არ ერიდებიან სკოლების შესანახად. ჩვენს საზოგადოებაში ამ ჟამად არსებობს ორი ორ-კლასიანი და ორი ერთ-კლასიანი სკოლა. მომავალ წლისათვის განძრახულია ორ უკანასკნელ სკოლების ორ-კლასიანად გადაკეთება, ასე რომ შემდეგისათვის თვითეულ სოფელს საკუთარი ორ-კლასიანი სკოლა ექნება და ამნაირად პირველ-დაწყებითი სწავლება თითქმის უზრუნველყოფილი გახდება. სოფლელებს ჰქონდათ სამკითხველოც, მაგრამ განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყების დროს მთავრობამ არასასურველად იცნო ჩვენში იგი და ამნაირად ახლად გამოწყებულმა საქმემ თქვენი ჭირი წაიღო.

რეაქციის გაძლიერებას ჩვენში შედეგად ის მოჰყვა, რომ მიქელ-გაბრიელი სოფლის მოხელეთა საწველ ფურად გადაიქცა. „სოფელი ვნახე უძაღლო, მიგ[illegible]". [illegible] რედ ამ ფაქტზე [illegible] ითქმის ისეთი მოხელე [illegible] რომ სოფლელების ჯიბეში ხელები არ დააფათუროს. მაგრამ ყველაზე უფრო ისახელა თავი მწერალმა კეშელაძემ, რომელმაც აყარებული ფული გაჰფლანგა (როგორც შემდეგ გამოირკვა, ბ. მწერალი ყალბ კვიტანციებს აძლევდა სოფლელებს) რაც ბ-მა კეშელაძემ დაჰკლო, იგი ბოქაულმა ყიფიანმა შეუსრულა. ყიფიანი ჩვენში კარგად ცნობილ ერმილოვის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. ბ-ნ ყიფიანის მიერ გაცემულ კვიტანციებს მთავრობა არა სცნობს. გაფლანგულ ფულის ნაწილი ხელმეორედ გადახდევინეს სოფლელებს. ნაწილი კი ხელიმკებად ითვლება.

შარშან ოქტომბერში ჩაგვიყენეს მთავრობის მამასახლისი, რომელსაც ოთხი სტრაჟნიკი ახლავს მამასახლისს ეძლევა თვიურად 50 მან., სტრაჟნიკებს კი თითოს 25 მ. ნათქვამია: „ახალი ცოცხი კარგად ჰგვისო", და ჩვენმა მამასახლისმაც სავსებით გაამართლა ეს ანდაზა. მოსვლისთანავე ისეთი „საქმიანობა" გამოიჩინა, რომ სოფლელები სახარულს მიეცნენ. „სტრაჟნიკები რომ არ ახლდეს, მამავ, ამისთანა მამასახლისის შესანახად ხარჯებს არ დავიშურებდითო, თითქმის ერთხმად ამბობდნენ სოფლელები. მაგრამ სოფლელების გულუბრყვილო სიხარული ცოტა ხნისა იყო. ბ. მამასახლისმა საქმიანობის უნარი სრულიად მოულოდნელად დაჰკარგა ბ-ნ მამასახლისის აყარებულ საქციელი სავსებით გამოაშკარავდა ამ ორის თვის წინად, როცა მიწის გადასახადები მოჰკრიფეს. სასტიკის ზომების შემწეობით რამდენიმე დღის განმავლობაში მოჰკრიფეს საჭირო ფული. სოფლელებმა ადრე შეამჩნიეს, რომ მამასახლისის კვიტანციებში გადახდილი ფულის რაოდენობა სავსებით არ იყო აღნიშნული. ამის შესახებ სოფლელებმა საჩივარი შეიტანეს ადგილობრივ ბოქაულთან. ბოქაულის შეკითხვაზე მამასახლისმა განაცხადა: „მართალია, კვიტანციებში მიღებული ფული სავსებით არ არის აღნიშნული, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ შეცდომით საჭიროზე მეტი ფული გადავწერეთ და ეს ზედმეტი ფული (450 მ.) ამ ცოტა ხანში უკანვე უნდა დამებრუნებინა ხალხისათვისო". ბ-ნი ბოქაული სავსებით დაკმაყოფილდა მამასახლისის განმარტებამ. მას შემდეგ კვირა თვეზედ მეტი, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კაცს დაუბრუნეს ხვედრი ფული. საერთოდ კი გვაუბნებიან, როგორ გაჰბედეთ და ნებადაურთველად საჩივარი მიართვით ბოქაულსაო.

ადგილობრივი მეთვალყურე.

უკანასკნელი ამბები ოსმალეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი)

აბდულ-ჰამიდის საიდუმლო მიწერ-მოწერა.

ნაპატიებ საჭურისთ-უხუცესის ნადირ-აღის ჩვენებით ილდიზ-კიოსკში იპოვეს საიდუმლო მიწერ-მოწერა აბდულ-ჰამიდისა ევროპის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს მეთაურთან, რომელიც თურმე რჩევას აძლევდა ოსმალეთის მბრძანებლად ნამყოფს შინაგან თუ გარეშე პოლიტიკის ყველა საქმისა და აგრეთვე უკანასკნელ კონტრ-რევოლიუციის მოწყობის შესახებ. (კ.).

რეაქციონური მოძრაობა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, არზრუმში ძლიერი რეაქციონური მოძრაობა დაწყებულა ადგილობრივ გუბერნატორის მეთაურობით. აჯანყებას უფეთქნია აგრეთვე დიარბექირსა და ქურთისტანში. გენერალისიმუსი მახმუდ-შევკეთ-ფაშა რუმელიის (სალონიკის) ჯარსა ჰგზავნის იქა, როგორადაც უფრო საიმედოს.

სამხედრო სასამართლოს მოქმედება.

სამხედრო-საველე სასამართლომ 59 სამხედრო პირს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა კონტრ-რევოლიუციაში მონაწილეობის მიღებისთვის.

სასამართლომ უბრძანა პოლიციას, რომ პრინცი ბურხან-ედინი დაატუსაღონ.

მეამბოხე ჯარის-კაცების ალსარება.

ის ჯარის-კაცები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 31 მარტს კონტრევოლიუციაში და რომლებიც ეხლა სამხედრო-სამართალში მისცეს, გულწრფელად გამოტყდნენ, დიდი ფული დაგვირიგეს რეაქციონერებმა- დატუსაღებულს ჯარის-კაცებსა და უნტერ-აფიცრებს ბლომა ფული უპოვეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ იმ ფელდფებელსა, რომელმაც მოხიბლა და კონტრ-რევოლიუციაში მონაწილეობა მიაღებინა მსროლელთა მეოთხე ბატალიონს, მიუღია 15 ათასი ოსმალური გირვანქა (1 ოსმალური გირვანქა—8 მ. 50 კაპ., ეხლანდელ კურსით—9 მან.) ფულად და პოლკოვნიკის ჩინი.

ეს მსროლელთა მეოთხე ბატალიონი განთქმულ მესამე კორპუსიდან სალონიკიდან განგებ იყო მოყვანილი სტამბოლში კონსტიტუციის დასაცველად. 31 მარტს ხსენებულ ფელდფებლის ჩაგონებით მანაც უღალატა ახალგაზდა ოსმალებს და სულთანის ერთგულ გვარდიის მემხრო. მის ღალატს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა; ამიტომაც ასე უხვად დაუჯილდოვებიათ მისი მომხიბვლელი ფელდფებელი.

სი". (გამოდის ეკლესიიდან დარეჯან).

16.

დარეჯან. გიკვირს განა, ლევან, ჩემი საქციელი?!

ლევან. საკვირველია, მხოლოდ გაუგებარი.

დარეჯან. ლევან, გამიგონე: ვიწვი უნუგეშო სინანულით და მწადს შევიმსუბუქო ტვირთი, რომელიც ლოდივით მაწევს გულზე (პაუზა). ნინო უბრალოდ იტანჯება: საქციელი მისი წმინდაა, ვით ცრემლი, ტანჯულ გულიდან წამონადენი. მიმძიმს, მაგრამ უნდა ვსთქვა: რაც მოხდა მაშინ, ყველაფერი ჩემი მოხერხებული იყო. დაუნდობლად შევეცილე და ჩავაგდე ჯოჯოხეთში.

ლევან. პირი იბრუნე, ეგ დიაცთა წესია. (დადვრემილია).

დარეჯან. მე გეუბნები სიმართლესა და შენ, როგორც გინდოდეს: მე გავაზრახე არჩილ, წავაცდუნე და გავაბედვინე ის საქციელი, რომელმაც გადასწყვიტა თქვენი ცოლ ქმრობის ბედი.

ლევან (სიმკვეთრით). მითხარ მოკლედ, რა გწადია.

დარეჯან. მე მინდა, რომ მისი მტრობა ამოიღო გულიდან.

ლევან. კმარა! (გამოდიან ეკლესიიდან ყველანი; ნინო მოჰყავთ გაკაპებული ძარიამსა და ქაიხოსროს; ლევან შავა, მოიხდის ქუდსა დაუგდებს წინ).

17.

ლევან. გაქრე!

ნინო. ვერ მიმხვდარ-ვარ: რას ნიშნავს?

დარეჯან. მე გეტყვი: გადაეყარა ლევანს ბინდი თვალთაგან და დაინახა თავისი შეცდომა; ცხადად მიხვდა, რაოდენ უსამართლოდ და სასტიკად დაგსაჯა შენ, რომლის ზნენი ბრწყინავენ, ვით სხივნი მზისა დილის ნამში მოელვარენი, და რაოდენ ბოროტი და სულ-მდაბალი არის ის ადამიანი, რომელმაც დაუნდობლად შეუბოჭა მას გული, აღადგინა მზაკვრულად მოსიყვარულე ბიძის სამტროდ და სამუდამოდ დაუკარგა სულის სიმშვიდე. ყველამ კარგად იცით, ვინც არის ის ბოროტი (ნინო ქვითინებს). იტირე, იტირე, ეგ შენი ხვედრია; მე ქვა ვარ, ქვა ვიყავ, ქვა ვიქნები. რაც ვსქთვი, საბოდიშოდ არ მითქვამს: ჩემ საქციელს შენდობა არა აქვს (აღელდება). არც მინდა იგი: დეე კიდით-კიდემდე, ცის სივრცეში, დაბლა ქვესკნელში, თვით იმ ჩემ შერყვნილ გონებაში ისმოდეს განუწყვეტლივ საშინელი შეჩვენება, ხმა იგი ეფინება ჩემ დატანჯულ გულს, ვით ნელსაცხებელი. მე არ ვერიდები არც წყრომას განგებისას, არც მსჯავრსა ადამიანისას და მზადა ვარ პასუხი გავცე მათ: მე მიყვარდა და სიყვარულს შევწირე საქაოც და საიქაოც.

ნინო. რად მეუბნები მაგას, რა გინდა ჩემგან?

დარეჯან. მინდა, რომ ოჯახს დაუბრუნდე და მშვიდობა ჩამოვარდეს თქვენ შორის.

ლევან. (წყრომით) არა! არასოდეს! ჩვენი გზები გაიყარნენ და ვეღარ შეერთდებიან (ანიშნებს ხელით წასვლას).

ნინო. არც უნდა შეიყარნენ თავისდღეში. (მიდის. ყველანი გაჰყვებიან გარდა ლევანისა და დარეჯანისა).

დარეჯან. (თავისთვის ტანჯვით) მე კი ბავშვსავით სასწაულს ველოდი.

ლევან. (სწრაფად მიუახლოვდება დარეჯანს და დაუჭერს ხელს) დარეჯან, გამიგონე! სანთელი ისე არა ჰქრება, რომ საბოლოოდ ალი არ ავარდეს. უკანასკნელად გევედრები, ისმინე კვნესა ჩემი გულისა, გადაიგდე გულიდან ეგ საშინელი განზრახვა! შენ მე ვერ დამტოვებ: სიკვდილი იქნება ჩემი. გრძნობა ჩემი უსაზღვროა და შეუკავებელი; ვით შემოდგომის ქარი გამხმარ ფოთოლს, გატაცებით მიმაქანებს და შეჩერება ჩემი შეუძლებელია: მე ჩემ თავს არ ვეკუთვნი.

დარეჯან. დამიჯერე, ლევან, გიჯობს დამანებო თავი და დაუბრუნდე ძველ გზასა. მიკვირს, ნუ თუ შეიძლება კიდევ ყოყმანი?! მხოლოდ დაბადებით ბრმა ვერ არჩევს ღამის სიბნელეს დღისა სინათლისაგან.

ლევან. (მტკიცედ). გეუბნები, ჩემ თავს არ ვეკუთნი მეთქი!

დარეჯან. არა, ლევან, მე მკვდარი ვარ სიყვარულისათვის: მონანიების გზას უნდა შეუდგე.

ლევან. შემინდვია შენთვის ყველა, რაც კი გიმძიმებს სინიდისსა; გეფიცები, საყვედურის ხმას არ ამოუშვებ პირიდან, უმადურობის ნასახსაც კი არ გავივლებ გულში; თვით ჩემი შვილის უბედურებაც კი მიპატიებია; წავიდეთ, წავიდეთ, ერთად შევსთხოვოთ! (ეხვეწება). წავიდეთ ერთად დაუჩოქოთ კუბოს და გვაპატიებს! (კვლავ ეზიდება) წავიდეთ მეთქი! წავიდეთ, შევძრათ ბჭენი ეკლესიისანი ზახილით! ცრემლით და ვაების ხმით [illegible] ტაძარი! (დარეჯან ეურჩება). შევიდეთ მეთქი! (აღელდება).

დარეჯან. არა, არა, ამაოა ყველაფერი.

ლევან. რადა? რა მიზეზია? აღარ გინდივარ? ცხადია, აღარ გინდივარ... კარგი, ეგრე იყოს (გაუშვებს ხელსა).. მაშ მითხარი, რადა, რა მოხდა ისეთი? (ქოქანებს).

დარეჯან. ლევან, დამიჯერე, გავა დრო და მასთან ერთად გაივლის სიმწვავე შენი სიყვარულისა.

ლევან. მითხარ, რა მიზეზია მეთქი, რად გამოგეცვალა ჩემზე გული?

დარეჯან. არა, ლევან, გული მე არ გამომცვლია.

ლევან. სტყუი! მითხარ მეთქი!

დარეჯან. მე ისევ ისა ვარ.

ლევან. მე გამოვიცვალე, განა? გონება შემერყა, გავგიჟდი განა?! მითხარ პირდაპირ, გიჟი ხარ, სარიდალი გიჟი და აღარ მინდიხარ თქო! ამიფორიაქე გული, გონება და ახლა მტოვებ: ეს არის თქვენი სიყვარული?! ჰაი, თქვე უგულნო! (მიგარდება).

დარეჯან. ლევან, გენაცვა! (იბრძვიან).

ლევან. რაღა ვარ ახლა?! ზარემ გათავდეს ყველ ფერი (სწვდება ყელში).

დარეჯან. ლევან, რა გინდა? შენ ნუ, სხვამ მომკლას... მიშველეთ.

ლევან. შენ ვერავინ გიშველის. (წააქცევს საფლავის ქვაზე). მოკვდი და გათავდეს ყველაფერი! (ახრჩობს).

ფ ა რ დ ა.

სპარსეთის ამბები

რევოლიუციონერები არ ენდობიან შაჰსა.

სათარ-ხანმა გამოაცხადა: სანამ შაჰი ფიცს არ მიიღებს ახალ კონსტიტუციის ერთგულებაზე და ხელს არ მოაწერს მანიფესტს ამნისტიის შესახებ, არ დაუჯერებ შაჰსა და ჩემს პოზიციებს არ მივატოვებო.

სათარ-ხანმა დეპეშით გააფრთხილა რეშტისა და სხვა ქალაქების ენჯუმენები, ნუ ენდობით შაჰის ფანდებს, სანამ იგი არ შეასრულებს ყველა პირობას და თითონ არ მოაწერს ხელს მანიფესტსაო.

ასტარაში ხალხს არა სჯერა კონსტიტუციის აღდგენა, მით უმეტეს რომ ბძანებას კონსტიტუციის აღდგენის შესახებ ხელს აწერს გარეშე საქმეთა მინისტრი და არა თითონ შაჰი. როცა მანიფესტს თითონ შაჰი მოაწერს ხელს, მხოლოდ მაშინ დაუჯერებთო („ბ.“)

შაჰი კიდევ ჯიუტობს.

თეირანიდან ატყობინებენ „ბაქუ“-ს: „ამბობენ, ვითომ შაჰს გამოეცხადებინოს: მანიფესტს ხელს მოვაწერ და კონსტიტუციის ერთგულებაზედაც მხოლოდ მაშინ მივიღებ ფიცსა, როდესაც სახელმწიფოები ოფიციალურად დამპირდებიან ფულის სესხებასო.

ვის ემადლიერებიან სპარსელები.

კონსტიტუციის აღდგენას სპარსელები მამედ-ალი-შაჰს კი არა, ახალგაზდა ოსმალებს უმადლიან თურმე. ნამდვილად აბდულ-ჰამიდმა მოგვცა კონსტიტუცია და არა ჩვენმა მამედ-ალი შაჰმაო. აბდულ-ჰამიდი რომ საუგარაკოდ არ წასულიყო სალონიკში, მამედ-ალი შაჰს როდი შეუყვარდებოდა კონსტიტუცია და თავისუფლებაო.

რევოლიუციონერები განაგრძობენ ბრძოლას.

რევოლიუციონერები, ეტყობა, არად აგდებენ შაჰის ცალიერ დაპირებას და მედგრად განაგრძობენ ბრძოლას ნამდვილ კონსტიტუციის მოსაპოვებლად. როგორც დღევანდელი დეპეშა იუწყება, რეშტელ რევოლიუციონერებს სახელოვნად გაუმარჯვნიათ ქალ. კაზვინში, შაჰის ჯარი გაუქცევიათ და ქალ. კაზვინი თითონ ჩაუგდიათ ხელში.

ამ ბრძოლაში კავკასიელ რევოლიუციონერებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

ამას გარდა, ბახტიარების ხანს თავის რაზმით უკვე გამოულაშქრნია თეირანზე შაჰის წინააღმდეგ.

სპარსელ სოციალ-დემოკრატების პროტესტი.

საერთა-შორისო სოციალისტურ ბიურომ მიიღო სპარსელ სოციალ-დემოკრატების კომიტეტისგან დეპეშა, რომელშიაც გამოცხადებულია პროტესტი იმის წინააღმდევ, რომ რუსეთმა ჯარი გამოგზავნა სპარსეთში და ამით ჩაერია იქაურ რევოლიუციონერების ბრძოლაში.

თეატრი და ხელოვნება

საყურადღებო იუბილეი. ხვალ, 26 აპრილს, ბაქოს ქართველთა კოლონია საიუბილეო საღამოს უმართავს 25 წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობისთვის ერთ საუკეთესო მუშაკს დავით რომანის ძე შველიძეს.

ვინც სიტყვების რახა-რუხით კი არა, საქმით და გულწრფელად იზიარებს ჩვენი ხალხის თვით-შეგნებას და თვალს ადევნებს, სხვათა შორის, სახალხო წარმოდგენების განვითარებას ჩვენში, იმას, რა თქმა უნდა, უხარის არსებულ შავ-ბედ პირობებში თვით-შეგნებისათვის საუკეთესო იარაღის, სახალხო თეატრის აღორძინება, და ამასთან არ შეუძლიან დიდის თანაგრძნობით და მადლობით არ მოიხსენიოს აღნიშნულ ასპარეზზე სხვა უანგარო მოღვაწეთა შორის დავით შველიძე.

გქონდეს მოწოდება, გრძნობდეს და გიყვარდეს ესა თუ ის დარგი ხელოვნებისა, მიმართული თანამედროვეთა საკეთილდღეოდ, 25 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ და სინიდისიერად ემსახურო ამ სიმპატიურ საქმეს,—დიდალაც, საქებური და სამადლობელი ღვაწლია!

თუმცა დ. შველიძეს, ხელმოკლეობისა და სამსახურის გამო, ბოლო ათი წლის განმავლობაში ბაქოში მოუხდა ცხოვრება, მაგრამ უეჭველია, ტფილისში სახალხო წარმოდგენების მომწყობთ და ამ წარმოდგენებზე მოსიარულეთ კარგად ახსოვთ დ. შველიძე, რომელიც აქაც ხანგრძლივად ითვლებოდა საუკეთესო და სინიდისიერ სცენის მოყვარედ. იგი დიდ მონაწილეობას იღებდა ავჭალის სახალხო თეატრში, ავლაბარში და სხვაგან.

ამ ათი წლის განმავლობაში ბაქოში მგონი არ გაუმართავთ არც ერთი ქართული წარმოდგენა ან საღამო (სახალხო, თუ საზოგადო), რომ დ. შველიძეს თვალსაჩინო როლი არ ეთამაშოს. ის იყო და არის უმთავრეს როლების ნიჭიერი აღმსრულებელიც, რეჟისორიც და ერთ-ერთი უმთავრესი მომწყობთაგანიც.

დაჯილდოვებული სასცენო ნიჭით (განსაკუთრებით ჩვენებურ ტიპების გაპიროვნებაში), თავდავიწყებით მოყვარული სცენისა, დინჯი, არა ჩვეულებრივის მოფიქრებით და სინიდისიერად აღმსრულებელი ნაკისრ როლებისა, სხვებისებრ არა მყვირალა და მოკრძალებული და ამასთანვე საუკეთესო ამხანაგი,—აი ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება უჩინარი მოღვაწის დ. შველიძისა იმ პატარა იდეიურ წრეში, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობს ყველაფერს, რაც-კი ბაქოში იმართება ქართველების სახელით.

ამ პატარა ცნობაში, რა თქმა უნდა, მოუხერხებელია მკითხველს გაუთვალისწინოთ დ. შველიძის ყოველმხრივი დამსახურება. მხოლოდ ვისურვებთ გულით, რომ ჩვენში გამრავლებულიყონ შველიძისთანა სინიდისიერი, უანგარო და ნაყოფიერი მუშაკნი... **გ. ახალციხელი.**

სამედიატორო სასამართლოს დადგენილება

(ვაჟა-ფშაველას და მ. გაჩეჩილაძის საქმე).

ტფილისი. 18 აპრილს, 1909 წ. ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერლებმა მედიატორეებმა: ვ. გუნიამ, ზ. ჭიჭინაძემ, მ. წერეთელმა, კ. თუმანიშვილმა და ამათგან არჩეულმა თავმჯდომარემ ფ. გოგიჩაიშვილმა გავარჩიეთ დავა ვაჟა-ფშაველასა და მ. გაჩეჩილაძეს შორის, გამოწვეული ვაჟა-ფშაველას წიგნის „ცრემლების“ გამოცემით.

მ. გაჩეჩილაძემ განიზრახა ხელის მოწერით გამოეცა მთელი სერია ქართველ და უცხოელ მწერლების ნაწარმოებთა და იანვრის პირველ რიცხვებში გამართა ხელის მოწერა ამ სერიის პირველ წიგნზე, ვაჟა-ფშაველას ახალ, ჯერ დაუბეჭდავ ლექსებზე. წიგნი 200 გვერდიანი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ხელის მომწერლებს მისცემოდა. ამ ლექსების ჰონორარი უნდა ვაჟა-ფშაველას მიეღო მ. გაჩეჩილაძისაგან 80 მან., რომლის ანგარიშში მან იმ თავითვე 20 მანათი მიიღო. დანარჩენ 60 მ. მიცემაზე მ. გაჩეჩილაძემ უარი განაცხადა, რადგან ვაჟა-ფშაველასაგან მხოლოდ 60 გვერდის ახალი ლექსები მივიღე, დანარჩენი უკვე დაბეჭდილ ლექსებით შევავსედ და სამაგიეროდ წიგნს ზომა მივუმატე, მეტი შრომა მივეცი, ზედ-მეტი ხარჯი გავწიე და გამოცემაში ვიზარალეო. ვაჟა-ფშაველა გადმობეჭდილ ლექსებს და განსაკუთრებით „გველის მჭამელს“ მიუღებელ 60 მან. ჰონორარზე მეტად აფასებს და ამიტომ მ. გაჩეჩილაძეს მხრივ ჰონორარის მიუცემლობას უკანონოდ სთვლის. ამასთანავე უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ ხსენებულ წიგნის ბოლოში ჩართულია შენიშვნა ვაჟა-ფშაველას ერთ ლექსის შესახებ, რომელსაც იგი თავისთვის შეურაცხმყოფელად სთვლის.

სამედიატორო სასამართლომ მიიღო მხედველობაში.

1. რომ ვაჟა-ფშაველამ თავისი დაპირება მ. გაჩეჩილაძეს არ შეუსრულა და 200 გვერდის ახალ ლექსების მაგიერ მხოლოდ დაახლოვებით 60 გვერდის ახალი ლექსები გადასცა;

2. რომ მ. გაჩეჩილაძემ თავის ნებით და ვაჟას დაუკითხავად ისარგებლა ვაჟა-ფშაველას უკვე დაბეჭდილ ლექსებით და პოემით „გველის მჭამელი“ და ამ გადმობეჭდილ ლექსებში ვაჟა-ფშაველას არავითარი ჰონორარი არ მისცა;

3. რომ მას, ვაჟა-ფშაველას, ნება დაურთველად ამ ლექსების უჰონორაროდ გადმობეჭდვის უფლება არ ჰქონდა;

4. რომ ამ ლექსების გადმობეჭდვით მ. გაჩეჩილაძემ წიგნი მაინც დაბეჭდა და დაურიგა ხელის მომწერლებს;

5. რომ ძველ ლექსების გადმობეჭდვის საბადლოდ გამომცემელმა წიგნს ზომა და შრომა თუ მიუმატა და საამისოდ ზედ-მეტი ხარჯი გასწია, ამით თავის გამომცემლობის საქმისთვის საზოგადოების თვალში სახელის მოპოება უნდოდა.

სამედიატორო სასამართლომ დაადგინა: ა) მ. გაჩეჩილაძემ მისცეს ვაჟა-ფშაველას დანარჩენი 60 მან. (ექვსი თუმანი). ბ) ამ ექვსი თუმნის ნახევარი ეხლავე გადაუხადოს, ხოლო მეორე ნახევარი—ორი თვის განმავლობაში.

ამასთანავე სამედიატორო სამართალი უმართებულოდ სთვლის იმ შენიშვნას, რომელიც მ. გაჩეჩილაძემ ხსენებულ წიგნის ბოლოში მოათავსა, თუმცა ქართულ წიგნების ასე იაფ ფასად და ლამაზად გამოცემის მოწყობისთვის მ. გაჩეჩილაძე თანაგრძნობის და მადლობის ღირსად მიაჩნია.

თავმჯდომარე **ფ. გოგიჩაიშვილი.**

მედიატორეები: **მ. წერეთელი. ზ. ჭიჭინაძე. კ. თუმანიშვილი. ვ. გუნია.**

ბ-ნ მრევლიშვილის სურათის გამო

„დროების“ დამატებაში (№ 15) ამას წინად დაიბეჭდა ბ-ნ მრევლიშვილის სურათი—„კაკო ყაჩაღი“. ამ სურათმა ჩემზე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. ხსენებული სურათი არ შეეფერება არც ქართულ ცხოვრებას, არც ცნობილ პოემის შინაარსს. სურათს რომ ერთბაშათ თვალი გადაავლოს კაცმა, ასე იფიქრებს: მხედარი და ცხენი გვიჩვენებენ, რომ ისინი მზად არიან სამოქმედოდ ყოველ წამშიო. თოფი-კი არხეინობას ამტკიცებს. მიუახლოვდეთ სურათს. კაკო ყოველ წამს მოელის მტრის დაცემას. მიუხედავად ამისა, **თოფი ჩამოუკიდნია ხის ტოტზე,** რაიც ამტკიცებს, რომ არც თუ ისეთ საფრთხეში იყო კაკო,—მას შეეძლო კარგადაც გამოეძინა. ვიმოწმებ თვით პოემას.

პოემის ერთ ადგილას ნათქვამია: „ერთ ხის ძირასა **ფრთხილად** ეძინა ბღაჭაშვილსა“... მეორე ადგილას: „უსახლ-კარობა, შიში, მიმშილი, ძარტუკა გდება მხეცივით ტყეში, **კურდღელს-კითა ფხიზელი ძილი და იარაღი დღე-და-ღამ ხელში**“. ამ გამონაწერ ადგილებიდან შემდეგ—ვფიქრობ ყველა დამეთანხმება იმაში, რომ თოფის ხეზე ჩამოკიდება სრულიად არ შეეფერება კაკოს ცხოვრებას. გარდა ამისა, ძოძყავს შემდეგი ფაქტი დღევანდელ ცხოვრებიდან. არც ერთი მეცხვარე გზაში ან ბინაში, ან ცხვრის თელში (ცხვრის სადგომის ნაპირები ცის ქვეშ) არ იძორებს იარაღს. თოფს, მაგალითად, ტუჩებით გაატარებს ლაჯებში და ისე ხავს თავით კონდახზე. აქით კაცი გათხილებულია ყველაფერში: თოფს არც მოჰპარავენ, არც დაუსველდება და სწრაფადაც „მოიზიდავს“. მცირე შენიშვნა კიდევ: თოფი ჩამოუკიდნია ტუჩებით ზევით. ამაშიაც ვხედავ შეცდომას. თოფი უნდა ეკიდოს კონდახით ზევით: არც წყალი ჩავა ლულაში, არც რამე ჩავარდება, არც ისე ადვილად დაეფანტება საპირის-წამალი.

მხედარს სასწრაფო არსად არ უჩანს. პოემაში ნათქვამია: „მე თანა მყვანან რკინისა ძმები, ჩემი სიათა, დამბაჩა, **ხმალი**“. დამბაჩა რომ არა ჩანდეს—ეს ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ ხმალი? ხმალი უსათუოდ უნდა იყოს, მით უმეტეს რომ ხმალს, როგორც საომარ იარაღს, იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საქართველოს ზოგიერთი თემი ხმლით იყო განთქმული. ხანჯალი კაკოს თითქოს მარჯვნივ არტყია. ვერ გამირჩევია კარგად: არ ვიცი, გადმობრუნებული და მარჯვნივ გადმოგდებულია, თუ ესაც შეცდომაა? ცხენი? ცხენზე პოემაში ნათქვამია: „მის შორი-ახლო ლამაზი ცხენი კაზმ-მოუხდელი სძოვდა ბალახსა“. ცხენს არ ეტყობა, რომ ის საძოვრად იყოს გაშვებული: პირში ლაგამი, ძუა გამონასკვნილი. თუ ალვირს სრულებით არ წამოუყრის კაცი, პირიდან მაინც უნდა გამოაცალოს, რათა ცხენმა თავისუფლად სძოვოს, დაღეჭოს ბალახი და არც კბილები გაიფუჭოს ალვირის რკინაზე. ძუის ნაკვეთი უნდა დეეშალნა, ასე რომ შეენახა კაკოს თავისი ცხენი, ორ თვესაც ვერ გაუძლებდა. ან არა-და, რად მოექცეოდა ასე იმ ცხენს, რომლზედაც კაკოს პირით პოეტი ამბობს: „ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზდილა, მოუდრეკია როგორც რომ ქიეი, ჩემთან საფრთხეში ბევრჯელ ყოფილა, გამოუვლია ქარი და ლხინი“. ასეთ ცხენს, რასაკვირველია, ყოველი პატრონი თავის თავზე მეტად მოუვლის. უნაგირიც ორნაირ შთაბეჭდილებას ახდენს: იგი ქართულ ძველ შეკმაზულობასაც ჰგავს და ჩერქეზულსაც.

ამ რიგად ილია ჭავჭავაძის კაკოს ცხოვრების ერთ-ერთი შესანიშნავი მომენტი, რომელსაც ავტორი აგვიწერს შეუდარებელ ხელოვნებით, ბ-ნ მრევლიშვილის ნახატში წახდა: ეს კაკო ილიას კაკოს არა ჰგავს... **დავით.**

შემოწირულება

წ.-კ. საზოგადოებამ მიიღო ლატარიისთვის.

ქამდევისაგან 2 ლანქრიანი ხამაქრე; გაბიძესაგან 8 ნაჭ. შპალერი; ხევანდისაგან 2 საფერფლე; ცერცვაძისაგან საფერფლე; აკოფიანცისაგან რეზინის ქუსლები; კუციევისაგან შპალერები; გეგიაძისაგან 2 წიგნი; ტ. მარკოზოვისაგან 2 „მანდონიერკა“ მოკოლადი; გარიბოვისაგან მალი; ზოტოვებისაგან ყაბალახი; მარკაროვისაგან ძძივი; მაგაკიანისაგან რიდიკული; ევანგულოვისაგან 1 გრძხი ღილი; ტ. პეტროსოვისაგან 12 საპონი; N—საგან ცხვირსახოცი; აპრიკოსოვისაგან ფინჯანი; ეგოროვისაგან 1 გრძხი ღილი; ბაგდაშვილისაგან 1 გრძხი ღილი; ამირაღოვისაგან 2 კრუჟ. კასინკა; მარტიანცისაგან 3 ყუთი ძძივი; მ. ვარ—საგან 2 პერსახოცი; პეტროსოვისაგან 1 დ. ცხვირსახოცი; ჯავახოვისაგან 8 არ. კისკა; ჩილინგაროვისაგან 3 თ. ნაქარგი, 6 აბრეშუმის ცხვირსახოცი, 3 მალის მოსახვევი; გოზალოვისაგან ტიკინი; პოღოსოვისაგან ½ დ. წინსაფარი; ძმ. რიზაევისაგან აბრ. მარდი; პრესსერგისაგან 6 საპონი, ოდეკოლონი, 2 პუდრი, 6 დუხი; ბორამისაგან 1 მალის მოსახვევი; ტროცკეტოვისაგან 3 არმ. ჩითი; N—საგან ორი ლეჩაქი; N—საგან დ. ცხვირსახოცი; გველესიანისა და ჭავჭანიძისაგან 2 „კასინკა“, 2 კრეტონი, 6 რიდიკული, 9 პორტმონე, 3 საპაპიროსე, 24 საყელო, 8 პაჟი; ბასილოვისაგან 12 საყელო, 2 ჩარჩო; აკოფოვისაგან ბალიშის პირი; სტეფანოვისაგან წრენის საფქვი; N—საგან ვერცხლის ბეჭედი და მარტიროსოვისაგან 2 ვერცხლის ბეჭედი.

რუსეთი

✦ **საყოველთაო სწავლება.** „რეჩის“ სიტყვით, მთავრობას გადაუწყვეტია, რომ იმ ადგილებში სადაც საყოველთაო სწავლეა იქნება შემოღებული 25 მანეთით დააჯარიმონ ის მშობლები, რომლებიც შვილებს სკოლაში არ გაგზავნიან.

✦ **შუამდგომლობა.** სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე-დეპუტატებს შუამდგომლობა აღუძრავთ, სათათბიროს საზაფხულო კანიკულებისთვის პირველ ივნისს დაითხოვეთ, რადგან ამ დროს სოფლებში გავრცელებული შიმშილობა დაკვირვებულია ჩვენ ადგილებში ვიყვეთო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ აქეთ: მოსკოვში 1, ეკატერინოსლავში 1, ეკატერინოდარში 2, დონის ოლქში 1. პეტერბურგში 1, ... ორ კაცს: სიკვდილით დასაჯეს: ვარშავაში 2, კამენეც-პოდოლსკში 1, იურიევში 1, უფაში 2, მოსკოვში 1 კაცი.

✦ **რკინის გზებზე.** „ნაშა გაზ.“ სიტყვით, საგზაო საქმეთა მინისტრი პირადად გასცნობია რკინის გზების მდგომარეობას. აღშფოთებულა, რომ რკინის გზებზე ანარქიული ქურდობა და ბოროტმოქმედება ხდება. უმეტეს ნაწილად ციმბირის რკინის გზის მოსამსახურეები ქურდობენ. ხშირად ცუდად ყოფილა საქმე ტომსკის, ციმბირის და იძიერ-ბაიკალის გზებზე. მინისტრის განკარგულებით ამ გზებზე დაუთხოვნიათ რამდენიმე დიდი მოხელე.

✦ **სტესსელი.** ამ რამდენიმე დღის წინად სტესსელის ცოლმა ხელმწიფეს თხოვნა მიართვა, ჩემი ქმარი გაანთავისუფლეთო. რუსეთის გაზეთების სიტყვით სტესსელის ცოლს უარი მიუღია.

✦ **ტოლმაჩევი სამსახურიდან გადის.** „კასპს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ, რომ ოდესის ცნობილი გენერალ-გუბერნატორი ტოლმაჩევი გენერალ გუბერნატორობას თავს ანებებსო.

✦ **პატიება.** „რუსკ. ზნამიას“ სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ 15 წევრისთვის სასჯელი უპატიებია. ამათ ებრაელების აწიოკებისთვის კატორღა და სატუსაღო ჰქონდათ გადაწყვეტილი.

✦ **ლოპუხინის საქმე.** როგორც ვიცით ლოპუხინის საქმეს ამ მოკლე ხანში განიხილავენ. სხვათა შორის ამ საქმის გამო მოწმედ „ბილოეს“ ყოფილ რედაქტორს, ცნობილ რევოლიუციონერ ბურცევსაც გამოიწვევენ.

✦ **სატყეო ინსტიტუტში.** როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის ამ რამდენიმე თვის წინეთ სატყეო ინსტიტუტის სტუდენტებმა კომუნები გამოაცხადეს ამის გამო მიწათმოქმედების მთავარ-მართველმა ინსტიტუტი დაკეტა. პროფესორების შუამდგომლობით სატყეო ინსტიტუტი გაიხსნა, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ინსტიტუტის პირველ კურსის უმეტესი სტუდენტობა უნდა დაეთხოვნათ, რაიც სისრულეში მოიყვანეს. ეხლა, როგორც გაზეთებს გაუგიათ, ამ დათხოვნილ სტუდენტებს უკანვე მიიღებენ.

✦ **იოლოსის მკვლელი.** საფრანგეთის მთავრობას გადაუწყვეტია რუსეთის მთავრობას გადასცეს იოლოსის მკვლელი მუშა ფედოროვი იმ პირობით კი, რომ იგი ნაფიცმა მსაჯულებმა გაასამართლონ. ფედოროვს, იოლოსის მკვლელობის გარდა, აბრალებენ კაზანცევის მკვლელობას. კაზანცევი „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრი იყო, ფედოროვს რევოლიუციონერად მოაჩვენა თავი, მოაკვლევინა იოლოსი და ფედოროვის შემწეობით მოაწყო ვიტტეს მოკვლის განზრახვა. როგორც ვიცით, ფედოროვმა კაზანცევს გაუგო პროვოკატორობა და ტყეში მოჰკლა.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—72)

იყიდება ორკესტრიონი

პირველად მოტანილი რუსეთში ბერლინიდან, რომელიც 10 კაცისაგან შემდგარ სიმებიან ორკესტრის მაგიერობასა სწევს. მოხერხებულია პროექტორებისთვის, რესტორნებისთვის და სხვათათვის გასინჯვა შეიძლება დილის 10 ს. საღამოს 7 საათამდე ტფილისში, თეატრის ქუჩა, სახაზინო თეატრის გვერდზე, ივანოვის ნომრებში, № 3. (3—220—3)

დაიბეჭდა და გამოვიდა „ნაკადულის“ 1908 წლის პრემია „[illegible]“, თარგმანი გრიგოლ ყიფშიძისა.

ვისაც შარშანდელი ფული სრულად არ შემოუტანია, იმათ პრემია არ გაეგზავნებათ. აგრეთვე იმ შარშანდელმა ხელის მომწერლებმა, ვინც წრეულს აღარ იწერენ **„ნაკადულს“** ექვს-ექვსი შაურის მარკა უნდა გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად.

ქუთაისის ხელის მომწერლები ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიიდან მიიღებენ პრემიას. (3—უ—3)

შემთხვევით იყიდება

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გრომზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა **„სინათლე“**-ში. (4—213—4)

სამკურნალო
გარედან მოსიარულეთათვის
ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.
რიყის ქ., ხ. N 78, (ხათავე მოედ. პირდაპირ.)

ს. მ. ახპისოვი—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
ს. ზ მირზოევისა—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
ი. ა. ფრიდონოვი—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
ს. ა. თარხანოვი—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
ა. ი. შახ-აზიზოვი—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
ნ. ბ. ნარიმანოვი—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
ე. მ. ზვიაგინა—კბილ. 9—11 ს.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—42)

დაიბეჭდა და დაურიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში

ახალი არსენას ლექსი.

ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.
წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეთ კანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდავებს % მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი“. (10—6.—1)

გამოვიდა ჟურნალი

„რუსსკაია მისლი“

(«РУССКАЯ МЫСЛЬ»)

აპრილის წიგნი შემდეგის შინაარსით: 1. «მტრეიკბერხერი»—მ. კ. პერვუხინისა; 2. „პოეტი და ტიკინი“—პეტრე კოჟევნიკოვისა, 3. ლექსები: 1. „მკალავი ქალი“; 2. „ქაჯი“—იური სლეზკინისა; 4. „საღამო ვიასთან“—ალექსი რემიზოვისა; 5. «მოწინავე მეომარი»—ოლღა ფორშისა; 6. „ბედნიერი ხაპერი“—ხ. პონტოპიდანისა (დანიურით), თარგმანი კლ. ტახტაქევისა; 8. „როდესაც მე მამაკაცი ვიყავ“—კ. ლემონიერი (ფრანგულით), თარგმანი ზ. ნ. ჟურავსკაიასი; 9. «ნაჭირნახულევი» (ა. ვ. ლენსკის მოგონებებიდან); 10. „დიდებული წინა დღეები“—ლ. მესტოვისა; 11. „ვლად. ბონიფ. ანტონოვიჩი“—ხ. ფ. რუსოვასი; 12. „მარქსიზმის კრიტიკა მარქსისტ“—ა. მზეპეტოვისა; 13. წერილები იტალიიდან: ა) არჩევნების წინ, ბ) საარჩევნო კომპანია—პეტრე რისისა; 14. შინაურ ცხოვრების მიმდინარე საკითხები: ა) 3 ივნისის სათათბირო და 9 ნოემბრის კანონი—ა. ა. კაუფმანისა, ბ) ადგილობრივ სასამართლოების რეფორმა—პ. ი. ლიუბლინსკისა; 15. „იარაღი დაშვებულია“—ა. ს. იზგოევისა; 16. „მკვდრები და ნადირები“—დ. ვ. ფილოსოფოვისა; 17. საგარეო პოლიტიკა—ლ. ი. გოლმერმტადტისა. 18. ბიბლიოგრაფიული განყოფილება; 19. განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1909 წლისთვის.

ხელის მოწერის პირობები:

	ერთი წლით.	9 თვით.	6 თვით.	3 თვით.	1 თვით.
გაგზავნით	12 მან.	9 მან.	6 მან.	3 მან.	1 მ.
საზღვარ-გარედ.	14	10 მ. 50 კ.	7 „	3 მ. 50 კ.	1 მ. 25 კ.

ადრესის გამოსაცვლელად 30 კაპ., ქალაქიდან სხვა ქალაქში—55 კაპ. ხელის მოწერა მიიღება: მოსკოვში—ჟურნალის კანტორაში, ს.-პეტერბურგში, ვილნოში და ვარშავაში—კარბასნიკოვის წიგნის მაღაზიაში; კიევში—ოგლობლინისა და ხოხლოვსკის წიგნის მაღაზიებში; ოდესაში—წიგნების მაღაზია „ტრუდში“

წიგნების საწყობი „რუსსკაია მისლ“.

„მოსკოვის ყოველკვირეულ და რუსკაია მისლზე ერთდროულად ხელის მოწერის ფასი ღირს: 1 წლით 15 მან., 17 მანეთის ნაცვლად; 6 თვით 8 მან., 9 მანეთის ნაცვლად; 3 თვით—4 მანეთი 4 მ. 50 კაპიკის ნაცვლად.

წიგნის მაღაზიებში ერთ დროული ხელის მოწერა არ მიიღება, არც ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანა შეიძლება.

ახალი წიგნები, ჟურნ. „რუსკაია მისლი“-ს მიერ გამოცემული:
1. ა. კორნილოვი—„საზოგადოებრივი მოძრაობა ალექსანდრე II დროს“. ფ. 1 მ. 25 კ.
2. ზ. ფრენკელი—„ზოლერა და ჩვენი ქალაქები“ ფ. 15 კაპ.

გამოვა 1909 წ. საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

წელიწადი მეხუთე. „ნაკადული“ წელიწადი მეხუთე.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ნაკადულის რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ზუბალაშვილის სახლში N 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

1909 წლის 1 იანვრიდან 1910 წ. 1-ლ იანვრამდის
მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს

24 წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი ჟურ. „ნაკადულის“ მოზრდილთათვის. **36** სურათი გამოჩენილი მხატვრებისა.

გარდა ამისა მიეცემათ პრემიათ: **„რას გვიამბობს ოთახი“**, ავენარიუსისა ვინც წლიურ ფასს სრულად არ შემოიტანს პრემია არ მიეცემა.

ფასი წლიურად ხუთი მანეთი. | მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მანეთი.
ნახევარი წლით სამი მანეთი. | მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მანეთი.
საზღვარ-გარედ წლიურად—7 მანეთი. | ნახევარ წლით . . . . —4 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. რედაქტორი **მ. ი. დემურიასი.**
(6—შ.—6) გამომცემელი **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**